ბრძანება

N 04/166

166-01-4-201807061656

06/07/2018

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის №04/11 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი „გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის №04/11 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე” - თანდართული სახით.

2. არ დადასტურდეს შპს „სტრადა მოტორსის“ (ს/ნ 401960286), შპს „იბერია ავტოს“ (ს/ნ 236098129), სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ (ს/ნ 204478948), შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ (ს/ნ 236096675), შპს „ჯი-თი მოტორსის“ (ს/ნ 206276340) და სს „ფრანს ავტოს“ (ს/ნ 236098165) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები.

4. გადაწყვეტილება, მისი დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2018 წლის 6 ივლისის №03/205 მოხსენებითი ბარათი.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის №04/11 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

თავი 1. შესავალი

2017 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ (ს/ნ 402033839) საჩივარი (რეგისტრაციის №01/1058, 12.12.2017) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის შესახებ.

მომჩივანის მიერ, მე-7 მუხლის ნაწილში მოპასუხეებად განსაზღვრული იქნენ - შპს „სტრადა მოტორსი“ (ს/ნ 401960286), შპს „იბერია ავტო“ (ს/ნ 236098129), სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (ს/ნ 204478948), შპს „კია მოტორს ჯორჯია“ (ს/ნ 236096675), შპს „ჯი-თი მოტორსი“ (ს/ნ 206276340) და სს „ფრანს ავტო“ (ს/ნ 236098165), ხოლო მე-10 მუხლის ნაწილში - სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ (ს/ნ 404428071) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საჩივრის თანახმად, შპს „სიტროენ ჯორჯია“ სადავოდ ხდიდა შემსყიდველი ორგანიზაციების - სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვებში კონკრეტული ეკონომიკური აგენტებისათვის უპირატესობის მინიჭების გზით კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას და ურთიერთშეთანხმებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტების (ზემოთჩამოთვლილი 6 ეკონომიკური აგენტი) მიერ შეთანხმებული ქმედებების შედეგად კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას.

კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის თაობაზე სააგენტომ იმსჯელა „შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის №04/11 ბრძანებასა და თანდართულ დაუშვებლობის დასკვნაში. სააგენტოს გადაწყვეტილების თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებების, მხარეთა პოზიციების შეპირისპირებისა და სამართლებრივი ანალიზის შედეგად, კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. მათ შორის იყო შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიუჩნევლობა კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად, სავარაუდო დარღვევის თაობაზე გონივრული ეჭვის სტანდარტის დაუკმაყოფილებლობა და სააგენტოს მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილება სადავოდ გამხდარ იგივე ტენდერებთან მიმართებით. სააგენტოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე მხარეებისაგან მიღებულ წერილობით ახსნა-განმარტებებსა და სააგენტოს მიერ ჩატარებულ იმ ტენდერების ანალიზს, რომლებიც ეხებოდა შემსყიდველ სახელმწიფო ორგანოებს.

კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისაგან გამოითხოვა მათ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია. კერძოდ, მონაცემები ექსპორტის, იმპორტის, რეალიზაციის, ნაშთების, ოფიციალურ მომწოდებლებთან ურთიერთობის შესახებ.

მხარეთა მომართვის საფუძველზე, ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სააგენტომ კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნია რიგი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც დააზიანებდა მხარეთა კომერციულ ინტერესს.

მოკვლევის ინტერესებისათვის, სააგენტომ ასევე გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისაგან. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად განხორციელდა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური აგენტების იდენტიფიცირება (გარდა მოპასუხე მხარეებისა) და ზოგადად, შესაძლებელი გახდა ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი შესწავლა.

კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის დასადასტურებლად საჩივარში მითითებული იყო კონკრეტული ტენდერები, კერძოდ 58 (ორმოცდათვრამეტი) ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი და 60 (სამოცი) ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა ერთზე მეტი პრეტენდენტი. სააგენტოს მიერ დამუშავდა ორივე კატეგორიის ტენდერები და მათთან დაკავშირებით მოხდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისაგან ახსნა-განმარტებების მიღება. ერთპრეტენდენტიანი ტენდერების შემთხვევაში იდენტიფიცირდა, თუ რომელ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს შეეძლო ტენდერში მონაწილეობის მიღება (თეორიულად მაინც) მათ მფლობელობაში არსებული ავტომობილების ასორტიმენტის გათვალისწინებით. მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტებმა თავიანთი არგუმენტები წარმოადგინეს სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტების სხდომებზე, რაც გაფორმდა საოქმო ჩანაწერებით. იმავე პრინციპით დამუშავდა კონკურენციით ჩატარებული ტენდერები, ხოლო სააგენტოსათვის საინტერესო კითხვებზე მხარეებმა წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები.

მოკვლევის ეტაპზე, როგორც მომჩივან, ასევე მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს პერიოდულად მიეწოდებოდათ საქმის მასალები. მხარეებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ საკუთარი პოზიციები სააგენტოს მიერ მიწოდებულ მასალებზე, რამაც ასახვა ჰპოვა ასახულია გადაწყვეტილებაში.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“

მოკვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია კანონის შემდეგი ნორმები:

1. კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

2. კანონის მე-3 მუხლის თანახმად:

2.1. „ეკონომიკური აგენტი“ არის პირი, რომელიც განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას (პუნქტი „ა“);

2.2. „კონკურენცია“ არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად (პუნქტი „ბ“);

2.3. „კონკურენტი ეკონომიკური აგენტი“ არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი, ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი (პუნქტი „გ“).

2.4. „შესაბამისი ბაზარი“ არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად (პუნქტი „ზ“).

2.5. „ურთიერთდამოკიდებული პირები“ არიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან/და მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე (პუნქტი „ლ“).

2.6. „კონტროლი“ არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ არსებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებაზე და იმავდროულად, პირი ფლობს ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დანიშნოს მმართველი ორგანოს წევრთა უმრავლესობა; პირი ფლობს საოპერაციო აქტივებს მთლიანად ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს; პირი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი; პირს აქვს მნიშვნელოვანი ხმის უფლება გარიგებებზე (პუნქტი „მ“).

2.7. „მომჩივანი“ არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს კონკურენციის სააგენტოს (პუნქტი „ო“).

2.8. „ჰორიზონტალური შეთანხმება“ არის ფაქტობრივ ან პოტენციურ კონკურენტებს შორის შეთანხმება (პუნქტი „პ“).

3. კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ხელშეკრულების დადება, გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ქმედების განხორციელება, რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. კერძოდ, აკრძალულია შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ქვეპუნქტი „ა), ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება (ქვეპუნქტი „გ“), მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს (ქვეპუნქტი „ვ“).

4. კანონის მე-17[2] მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ფუნქციებში შედის კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, ამ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

5. კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით უფლებამოსილია:

5.1. აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით (ქვეპუნქტი „ა“);

5.2. საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას (ქვეპუნქტი „ბ“);

5.3. საჩივრის არსებობის შემთხვევაში მოიწვიოს მხარეები მათგან ზეპირი ახსნა-განმარტების მისაღებად და, საჭიროების შემთხვევაში, მოაწყოს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან (ქვეპუნქტი „დ“);

6. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოში უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი განიხილება მხარედ და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

7. კანონის 23-ე მუხლით განსაზღვრულია საჩივრის დასაშვებობის ზოგადი კრიტერიუმები და დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, შესაბამისი პირებისათვის შეტყობინების წესები.

8. კანონის 25-ე მუხლით გაწერილია საქმის მოკვლევის ზოგადი წესები.

2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების - „განცხადებისა და საჩივრის ფორმები, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები“ (№30/09-1; 30.09.2014); „საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა“ (№30/09-5; 30.09.2014), „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (№30/09-3; 30.09.2014)) შესაბამისად, განხორციელდა კონკრეტული საჩივრის დასაშვებად ცნობა, საქმის მოკვლევის წარმოება და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

1. კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების კანონში მოცემული წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის გარდა.

2. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მისი მიზანია სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება (პუნქტი „ბ“) და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომების უზრუნველყოფა (პუნქტი „გ“).

3. კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით:

3.1. „სახელმწიფო შესყიდვა“ არის ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა კანონში მოცემული სახსრებით, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით (ქვეპუნქტი „ა.ა“);

3.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ არის კანონში განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად (ქვეპუნქტი „ბ“);

3.3. „შესყიდვის ობიექტი“ არის შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო (ქვეპუნქტი „გ“);

3.4. „შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი“ არის პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის სურვილი (ქვეპუნქტი „თ[1]“);

3.5. „პრეტენდენტი“ არის პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური (ქვეპუნქტი „ი[1]“).

4. კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

5. კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (ქვეპუნქტი „ა“).

6. კანონის მე-10[1] მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ელექტრონული სახელწმიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა ან კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

7. კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისათვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

8. კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

9. კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კონკურსის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით განსახორციელებელ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება ამავე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში.

4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 და 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ხსენებული ბრძანებები არეგულირებს ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება ამოქმედდა 2017 წლის 19 ივნისს, ხოლო აღნიშნულ თარიღამდე გამოცხადებული ტენდერები წარიმართა 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება

აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი. დადგენილების მე-3 მუხლში გაწერილია განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე თანამდებობის პირები. ხოლო დადგენილების დანართი განსაზღვრავს ავტომობილების კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, ასევე განსაზღვრული ნიშნით მათი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობებს.

დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ავტომობილის კლასი არის დადგენილი მინიმალური სპეციფიკაციისა და ავტომობილის ფლობის ღირებულების შესაბამისად განპიროვნებული და სამორიგეო საჭიროების მსუბუქი ავტომობილების სტანდარტი, რომელიც საყოველთაოა ადმინისტრაციული დანიშნულებისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს თითოეული კლასისათვის, რომელიც გამოიყენება შემდგომი შესყიდვისათვის. დაუშვებელია შესყიდვის დოკუმენტაციაში დადგენილი ტექნიკური მოთხოვნების გაზრდა, გარდა კლასის ცვლილებისა გარკვეულ შემთხვევებში. მიმწოდებელ სუბიექტებს შეუძლიათ შეთავაზებისას გააუმჯობესონ მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ყოველი კონკრეტული შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს ბაზრის კვლევას და ანალოგიურ კლასში ისტორიული სტატისტიკის ანალიზს ობიექტური სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, მაგრამ არა უმეტეს ამ წესით დადგენილი ზღვრული ფლობის ღირებულებისა თითოეული კლასის მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ბაზრის კვლევის ჩატარების და ზღვრული ფლობის ღირებულების დადგენის შემდეგ, ტენდერს აცხადებს ჯამურ ღირებულებაზე.

დადგენილების მიზნებისათვის, ამავე დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით ავტომობილების კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ნიშნით: I, II, III, IV კლასისა და სპეციალიზებული კლასის ავტომობილები.

6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

1. კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციას მიკუთვნებული მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ან/და იმპორტი;
2. კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, აქციზით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს დასაბეგრი ოპერაცია, აქციზური საქონლის იმპორტი და აქციზური საქონლის ექსპორტი; ხოლო კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა მსუბუქი ავტომობილებისათვის განისაზღვრება მათი წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;
3. კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით მოცემული ცხრილის მე-4 ქვეპუნქტით განსაზღვრულია აქციზური საქონლის აქციზით დაბეგვრის განაკვეთები მსუბუქ ავტომობილებთან მიმართებით. ამავე მუხლის შენიშვნა 3-ში განსაზღვრულია აქციზით დაბეგვრის განაკვეთის საშეღავათო ტარიფი ჰიბრიდული ავტომობილებისათვის, ხოლო

შენიშვნა 4-ში მოცემულია აქციზის განაკვეთის განსხვავებული ოდენობა მარჯვენა საჭიანი ან მარჯვნივ საჭე გადატანილი ავტომობილებისათვის;

4. კოდექსის 195-ე მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისაგან გათავისუფლებულია მსუბუქი ავტომობილების იმპორტი კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

5. კოდექსის 197-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციას მიკუთვნებული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევისას იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

7. ევროკავშირის კანონმდებლობის მიმოხილვა

<u>ა) კონკურენციის შეზღუდვა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში</u>

კონკურენციის პოლიტიკის მიზანია ბაზარზე კონკურენციის ანუ მეტოქეობის პროცესის დაცვა. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ეფუძნება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლს (შემდგომში - TFEU 101) და კრძალავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი ხელშეკრულების დადებას, ისეთი გადაწყვეტილების მიღებას ან ისეთი შეთანხმებული ქმედების განხორციელებას, რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. კონკურენციის შემზღუდველი „შეთანხმებული ქმედება“ ევროკავშირის სასამართლოს მიერ განმარტებულია როგორც ქმედება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, მაინც გამიზნულად ახდენს კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას. *(გადაწყვეტილება ICI კომისიის წინააღმდეგ (1972).* შესაბამისად, მთავარია დადგინდეს, გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ ბაზარზე დამოუკიდებელ მოქმედებას წარმოადგენს.[1]

რაც შეეხება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მტკიცების სტანდარტს, ევროკავშირში შეთანხმებული პრაქტიკის ცნება მოითხოვს ორმხრივ თანამშრომლობას, პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტების მეშვეობით, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს არსებულ ან პოტენციურ კონკურენტზე, ან ნათელი გახადოს მათთვის ბაზარზე მომავალში გასატარებელი კურსი და სტრატეგია. როდესაც არ მოიპოვება ასეთი ორმხრივი თანამშრომლობის პირდაპირი მტკიცებულება, პარალელურმა ქმედებამ შეიძლება იქონიოს

1 ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710 et al.

გარემოებრივი მტკიცებულების როლი, რომელსაც ამ კონკრეტულ ბაზარზე წესით ადგილი არ უნდა ჰქონოდა და თუ არ არსებობს ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა.

ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ პარალელური ქმედება თავისთავად არ უტოლდება შეთანხმებულ ქმედებას, ის მაინც შეიძლება იყოს შეთანხმებული ქმედების ძლიერი მტკიცებულება, თუკი პარალელურ ქმედებას მივყავართ ისეთ მდგომარეობამდე, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ნორმალურ მდგომარეობას, პროდუქტის ბუნების, ეკონომიკური აგენტების ზომისა და რიცხვის, და ბაზრის მოცულობის გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით ასეა იმ შემთხვევაში, თუკი პარალელური ქმედება არის ისეთი, რომელიც საშუალებას აძლევს [ეკონომიკურ აგენტებს] ეცადონ, დააწესონ ფასი ისეთ დონეზე, რომელიც ვერ იქნებოდა შესაძლებელი კონკურენციის პირობებში, და გააძლიერონ საკუთარი პოზიციები შიდა ბაზარზე პროდუქციის თავისუფალი მიმოქცევისა და მომხმარებლების მიერ მომწოდებლის არჩევის თავისუფლების საზიანოდ.“[2]

<u>ბ) შეთანხმებული ქმედება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში</u>

კოლიზია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში აკრძალულია TFEU 101-ე მუხლით. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ევროპული შაქრის კარტელის საქმეში დაადგინა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შეთავაზების გაკეთებისას კონკურენცია მთავარი ქვაკუთხედია. თუკი მონაწილეთა მიერ შეთავაზებული წინადადებები არ ეფუძნება ინდივიდუალურ ეკონომიკურ გათვლებს, არამედ ერთმანეთის შეთავაზებების ცოდნას ან მათ შორის შეთანხმებულ ქმედებას, კონკურენცია აღკვეთილი ან, როგორც მინიმუმ, შეზღუდულია.“[3] ამდენად, კონკურენციის სამართლის აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სატენდერო წინადადება ბაზარზე ინდივიდუალური ქცევის შედეგი იყოს და გამორიცხული იქნას კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული ქმედება.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ევროკომისია, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს მკაცრ სანქციებს. მაგალითად, 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით[4] ევროკომისიამ 992 მილიონი ევროთი დააჯარიმა „ლიფტების კარტელის“ მონაწილე კომპანიები. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება ევროკავშირის 4 წევრ ქვეყანაში (ბელგია, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები) ლიფტების მიწოდებისა და შეკეთების ბაზარს ფარავდა და

2 ევროკავშირის მართლმასჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება *Imperial Chemical Industries Ltd. v Commission of the European Communities,* Case 48-69, 14 July 1972. პარა. 66-67.

3 European Sugar Cartel case, OJ L140/17 [1973], პარა. 42.

4 იხ. ევროკომისიის პრეს-რელიზი IP/07/209, ხელმისაწვდომია: http://europa.eu/rapid/press-release_IP-07-209_en.htm?locale=en. ევროკომისიის გადაწყვეტილება შემდგომში ძალაში დატოვა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ორივე ინსტანციამ.

თითქმის 20 წელი (1985-2004) გრძელდებოდა. „გათბობის მილების კარტელის“ საქმეში[5] ევროკომისიამ გამოავლინა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება დანიურ და გერმანულ კომპანიებს შორის, რაც მიზნად ისახავდა, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვებში პროექტების წინასწარ განაწილებას და პირდაპირი კონკურენტის ბაზრიდან განდევნას. შეთანხმების მონაწილეები 92 მილიონი ევროთი დაჯარიმდნენ.

გარდა ადმინისტრაციული სახდელებისა, რიგ ქვეყნებში (მაგ. გერმანია, დიდი ბრიტანეთი) სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შეთანხმებული ქმედებისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კონკურენციის შემზღუდველმა კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებამ სხვადასხვა სახე შეიძლება მიიღოს. ირლანდიის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიის საინფორმაციო დოკუმენტი კოლიზიის პრევენციის შესახებ[6] გამოყოფს შეთანხმებული ქმედების რამდენიმე ფორმას, რომლებიც განსაკუთრებით გავრცელებულია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

- <u>სატენდერო წინადადების გაკეთებისგან თავის შეკავება</u>

ამ შემთხვევაში, კონკურენტ(ებ)ი, რომელიც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების გარეშე მონაწილეობას მიიღებდა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, აღარ გააკეთებს ან უკან გამოიხმობს სატენდერო შეთავაზებას, რათა ხელი არ შეუშალოს წინასწარ შეთანხმებულ „გამარჯვებულს“. (ე.წ. „Bid Suppression”).

- <u>ჩრდილოვანი სატენდერო შეთავაზება</u>

კოლიზიის ამ ფორმის დროს, კონკურენტები განათავსებენ სატენდერო წინადადებას, თუმცა მათი ფასი იმდენად მაღალია, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში აუცილებლად წინასწარ შეთანხმებული კანდიდატი გაიმარჯვებს. ასეთი შეთავაზებები კეთდება იმ მიზნით, რომ ობიექტურ დამკვირვებელს კონკურენციის ილუზია შეუქმნას; კოლიზიის ასეთი ფორმა ასევე, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია აწესებს შესყიდვის მონაწილეთა მინიმალურ რაოდენობას. (ე.წ. „Complementary / Shadow bidding”).

- <u>სატენდერო ბრუნვა</u>

ამ შემთხვევაში, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ყველა მონაწილე განათავსებს სატენდერო შეთავაზებას, თუმცა ისინი წინასწარ წყვეტენ, თუ რომელ შესყიდვაში რომელი კომპანია დააწესებს ყველაზე დაბალ ფასს, ე.ი. გამარჯვებული აქაც წინასწარ არის გამოვლენილი, თუმცა პროცესი საკმაოდ რთული სქემის მიხედვით

---

5 ევროკომისიის 1998 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება COMP IV/35.691/E.4 — Pre-insulated pipes, OJ L 24, 30.1. 1999, გვ. 1). ევროკომისიის გადაწყვეტილება შემდგომში ძალაში დატოვა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ორივე ინსტანციამ.

6 იხ. „The Detection and Prevention of Collusive Tendering“, ხელმისაწვდომია: http://ccpc.ie/sites/default/files/Booklet%20-%20The%20Detection%20and%20Prevention%20of%20Collusive%20Tendering.pdf.

მიმდინარეობს, სადაც ყველა მონაწილეს თავისი როლი აქვს და საბოლოო ჯამში, ყველა მათგანი იღებს სახელმწიფო შესყიდვების ღირებულების გარკვეულ წილს (ე.წ. „Bid rotation“).

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომში – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე ხელშეკრულებად განიხილავს - მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესებას, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს. ამდენად, ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების არსებობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო შესყიდვის შედეგზე იმგვარად, რომ ილახება შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესები, ავტომატურად განიხილება კონკურენციის შემზღუდველად. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებულ დარღვევაზე ასევე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლი.

სააგენტო აღნიშნავს იმასაც, რომ ხსენებული ნორმით აკრძალულია, არა მხოლოდ სახელმწიფოს შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმება, არამედ ისეთი შეთანხმებაც, რომლის მხარეც, შესაძლოა იყოს ისეთი პირი, რომელიც საერთოდ არ მონაწილეობს შესყიდვაში. ასეთ შემთხვევად შეიძლება განხილულ იქნას მონაწილეობისგან თავშეკავება.

კონკურენციის სამართალში ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული ქმედება სახეზეა მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ არა დამოუკიდებლად, არამედ გამიზნულად ახდენენ კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით, შეთანხმებით გამორიცხვას. რაც შეეხება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მტკიცების სტანდარტს, შეთანხმების პირდაპირი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, პარალელური ქცევა, თავშეკავება, ან სხვა მსგავსი მოქმედება შეთანხმებული ქმედების მტკიცებულებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მისი ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა და მას **ლოგიკურად ვერ ექნებოდა ადგილი მხარეთა შორის შეთანხმების გარეშე.**

თავდაპირველად, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოპასუხეთა ნაწილი, კერძოდ, შპს ,,კია მოტორს ჯორჯია", შპს ,,იბერია ავტო" და სს ,,ფრანს ავტო" წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკურ აგენტებს კანონის მე-3 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ამა თუ იმ სუბიექტზე კანონის მე-7 მუხლის გავრცელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შეთანხმების არსებობა ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ შეაფასა - შესაძლებელია თუ არა ჩამოთვლილი ურთიერთდამოკიდებული პირები განხილულ იქნან, როგორც ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი კანონის მე-7 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური აგენტი არის პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.

ხსენებული ნორმის შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც არის ბაზრის მონაწილე. კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რა სახის გაერთიანებაზეა საუბარი, თუმცა ნორმის გრამატიკული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ გაერთიანების ამ ნორმით ნაგულისხმევი ცნების ქვეშ არ მოიაზრება არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით დარეგისტრირებული ასოციაციები (ვინაიდან იგი ტექსტში ცალკეა გამოტანილი). ხსენებულთან მიმართებით, სააგენტოს შეფასებით, კანონის მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტში არსებული ცნება ,,გაერთიანება", აღნიშნული მოკვლევის მიზნებისათვის, უნდა განიმარტოს ევროკავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული ,,ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის" დოქტრინის შესაბამისად.

ნაწილი 2. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის" დოქტრინა

გამომდინარე იქედან, რომ მოკვლევის პერიოდი მოიცავს 2016-2017 წლებს, მნიშვნელოვანია სააგენტომ შეაფასოს ორი წლის განმავლობაში მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, წილობრივი მონაწილეობის ცვლილება და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. თითოეულ ეკონომიკურ აგენტთან დაკავშირებული მდგომარეობის დეტალურად შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა, რომ შპს „იბერია ავტოსა" და შპს „კია მოტორს ჯორჯიას", ასევე სს „ფრანს ავტოს" ერთმანეთთან აკავშირებს შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი" (ს/კ 204975376). ეს უკანასკნელი გარკვეული პროცენტული მაჩვენებლით მონაწილეობს დასახელებულ სამივე ეკონომიკურ აგენტში. აღსანიშნავია, რომ პროცენტული მაჩვენებელები იცვლებოდა შესასწავლი ორი წლის განმავლობაში. კერძოდ, სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი:

- ✓ შპს „იბერია ავტოში“ 2016 წლის განმავლობაში და 2017 წლის 13 ოქტომბრამდე 70%-იანი წილის მესაკუთრე გახლდათ ტარიელ ხეჩიკაშვილი (პ/ნ 01019007481), ხოლო 30%-ის - შპს „სპორტ ინვესტი“ (ს/ნ 401984616). თავის მხრივ, ამ პერიოდის განმავლობაში ტარიელ ხეჩიკაშვილი ფლობდა შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ 33.33%-ს, ხოლო შპს „სპორტ ინვესტი“ კი - 66.66%-ს. 2017 წლის 13 ოქტომბრის ამონაწერით დგინდება, რომ ამ პერიოდიდან შპს „იბერია ავტოს“ 90%-იანი წილის მესაკუთრე გახდა შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“, ხოლო 10%-იანი წილის კი - გიორგი ნემსაძე.
- ✓ შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ წილები 2017 წლის 13 ოქტომბრამდე შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: 25% - ის მესაკუთრე გახლდათ ტარიელ ხეჩიკაშვილი, ასევე 25%-ის შპს „იბერია ინვესტი“ (ს/ნ 236096023) და 50%-ის კი შპს „სპორტ ინვესტი“. 2017 წლის 13 ოქტომბრის ამონაწერით კი სურათი შემდეგია: 25%-ის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „იბერია ინვესტი“, ხოლო 75%-ის - შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“. 2017 წლის 8 დეკემბრის ამონაწერით კი დასტურდება, რომ 100%-იანი წილის მესაკუთრე გახდა შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 17 ოქტომბრის ამონაწერით, შპს „იბერია ინვესტის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე არის შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“.
- ✓ რაც შეეხება სს „ფრანს ავტოს“, 2013 წლისათვის სს „ფრანს ავტოს“ წესდების თანახმად, აქციათა 50.5%-ის მფლობელი იყო სს „იმედი“ (ს/კ B350661989), ხოლო აქციათა 49.5%-ის მფლობელს წარმოადგენდა შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“. როგორც სს „ფრანს ავტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან დგინდება, აქციათა წილობრივი მონაწილეობის აღნიშნული გადანაწილება შენარჩუნებული იყო 2017 წლის 19 ივლისამდე. 2017 წლის 19 ივლისს შპს „იბერია ბიზეს ჯგუფმა“ კუთვნილი ემიტირებული აქციების 24.75% მიჰყიდა სს „იმედს“, რის შემდეგაც სს „იმედი“ გახდა სს „ფრანს ავტოს“ აქციათა 75.25%-ის მფლობელი, ხოლო შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ აქციათა რაოდენობა შემცირდა 24.75%-მდე.[7]

მოცემული ფაქტობრივი გარემოებები გვაძლევს საშუალებას, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასახელებული ეკონომიკური აგენტები ჩავთვალოთ ურთიერთდამოკიდებულ პირებად. აღნიშნული მუხლი ურთიერთდამოკიდებულებად მიიჩნევს პირებს, თუ მათ *პირდაპირ ან არაპირდაპირ* აკონტროლებს მესამე პირი. მიუხედავად იმისა, რომ შპს „იბერია ავტო“, შპს „კია მოტორს ჯორჯია“ და სს „ფრანს ავტო“ უშუალოდ ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული აქციათა თუ წილთა ფლობით, მათ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ (რიგ მომენტებში, ფიზიკური პირი ტარიელ ხეჩიკაშვილი, რომელიც შესასწავლი პერიოდის განმავლობაში შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ 33.33%-იანი წილის მესაკუთრე იყო). შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ მონაწილეობის ხარისხი თითოეული დასახელებული

[7] აღნიშნული წილობრივი მონაწილეობა კიდევ შეიცვალა 2018 წელს, თუმცა გადაწყვეტილების მიზნებისათვის აღნიშნული გარემოება არარელევანტურია.

ეკონომიკური აგენტის ფუნქციონირებაში, ცალსახად გვაძლევს ურთიერთდამოკიდებულ პირებად მათი მიჩნევის საფუძველს, კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა სამართლებრივ ჭრილში არ იწვევს ეჭვს, რადგან საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მიზნებისათვის, 20%-იანი წილის ფლობა ავტომატურად გულისხმობს საწარმოს კონტროლს, რაც, თავის მხრივ, ამ საწარმოთა ურთიერთდამოკიდებულ პირებად მიჩნევის საფუძველია.

გარდა ურთიერთდამოკიდებულებისა, შპს „იბერია ავტოსა“ და შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ ურთიერთმიმართება შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფიდან“ გამომდინარე 2017 წლის 13 ოქტომბრის პერიოდიდან გვაძლევს „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის თეორიის“ განვითარების საშუალებას. აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ხსენებული პერიოდიდან შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ წარმოადგენს შპს „იბერია ავტოს“ 90%-იანი, ხოლო შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ 100%-იანი წილის მფლობელს. ხსენებული გარემოება შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“ საშუალებას აძლევს, მიიღოს როგორც შპს „იბერია ავტოს“, ასევე შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ მართვაში მონაწილეობა.

რაც შეეხება სს „ფრანს ავტოს“, შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ 2013 წლიდან 2017 წლის 19 ივლისამდე ფლობდა 49.5%-ს, ხოლო მოკვლევისთვის საინტერესო შემდგომ პერიოდში 24.75%-ს.[8] გარდა წილობრივი მონაწილეობისა, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი, 2016-2017 წლების პერიოდში წარმოადგენდა სს „ფრანს ავტოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. წესდების თანახმად დგინდება, რომ სამეთვალყურეო საბჭო უწევს კონტროლს დირექტორების საქმიანობას, დებს მათთან ხელშეკრულებას და ა.შ. თუმცა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ არასოდეს არ ყოფილა უმრავლესობაში მყოფი აქციონერი, რაც მას ართმევს უფლებას, მხოლოდ საკუთარი მოსაზრების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილებები ან გავლენა მოახდინოს მათ მიღებაზე. შესაბამისად, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის თეორიის განსავითარებლად საჭირო და აუცილებელი კონტროლისა და გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენის მექანიზმი ამ შემთხვევაში არ ჩანს.

კანონის მე-7 მუხლის დარღვევის დასადგენად, არსებითია მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებებს ადგილი ჰქონდეს რეალურ კონკურენტებს შორის. შესაბამისად, თუ ჩნდება ეჭვი

---

[8] აღნიშნული მდგომარეობა კვლავ შეიცვალა 2018 წლის 25 იანვრის აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, როდესაც შპს „იბერის ბიზნეს ჯგუფის“ მიერ სს „იმედის“ წინაშე შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ აქციათა 9.9% გადაეცა სს „იმედს“, რითაც იგი გახდა აქციათა 85.15%-ის მფლობელი, ხოლო შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ მფლობელობაში დარჩა აქციათა 14.85%. ვინაიდან სააგენტოში მიმდინარე მოკვლევა და შესასწავლი სახელმწიფო ტენდერები უკავშირდება 2016-2017 წლების პერიოდს, სააგენტო რელევანტურად მიიჩნევს და განიხილავს ამ პერიოდში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, მათ შორის, წილთა გადანაწილების საკითხსაც.

იმისა, რომ ეკონომიკური აგენტები მიუხედავად მათი ფაქტობრივი სამართლებრივი დამოუკიდებლობისა, შესაძლოა არ იყვნენ აღქმულნი როგორც დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტები და რეალურად უწევდნენ ერთმანეთს კონკურენციას, გვაძლევს შესაძლებლობას აღნიშნულ ორ ეკონომიკურ აგენტთან, შპს „იბერია ავტოსა“ და შპს „კია მოტორს ჯორჯიასთან“ მიმართებით განვავითაროთ „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ თეორია.

„ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნების საკანონმდებლო განმარტებას ქართული კანონმდებლობა მართალია არ იცნობს, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობა და სასამართლოების პრაქტიკა გვაძლევს მის დეფინიციისა და გამოყენების სათანადო მაგალითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა ავტომატურად არ ნიშნავს მათ მიჩნევას „ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად“. ხსენებული საჭიროებს დამატებით მსჯელობას და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი. „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის“ ცნებასთან დაკავშირებით სააგენტომ უკვე იმსჯელა ერთ-ერთ საქმეში და მიიჩნია, რომ განცალკავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკონომიკური აგენტები შესაძლოა მოვიაზროთ ერთ სუბიექტად, თუკი მათ შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი და ურთიერთზემოქმედების ის ხარისხი, რაც მათი დამოუკიდებლად განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა.[9]

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - TFEU) 101-ე მუხლის მიზნებისათვის, „ერთი ეკონომიკური სუბიექტის“ დოქტრინა გამოიყენება, ძირითადად, ორ შემთხვევაში: TFEU 101-ის მოქმედების გამორიცხვისთვის, ან შვილობილი კომპანიის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში (ე.წ. კარტელში) მონაწილეობის გამო, პასუხისმგებლობის დედა კომპანიისთვის შერაცხვის მიზნით.

საქმეში T-11/89, *Shell International Chemical Company v Commission* ევროკავშირის გენერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „ეკონომიკური აგენტი“ (ინგლ. “Undertaking”) მოიცავს *„ისეთ ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებსაც ახასიათებთ პერსონალის, მატერიალური და არამატერიალური ელემენტების ისეთი ერთობლივი ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური, გრძელვადიანი ეკონომიკური მიზანი და შეუძლიათ ხელი შეუწყონ აღნიშნულ მუხლში [TFEU 101] მოცემული დარღვევის ჩადენას“.*[10]

საქმეში 15/74, Centrafarm BV, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ TFEU-ს 101-ე მუხლი არ მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება ამოცანათა გადანაწილება ერთი ეკონომიკური სუბიექტის შიგნით. სასამართლომ აღნიშნა,

---

[9] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის №04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 სექტემბრის №157 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“.

[10] „[...] economic units which consist of a unitary organization of personal, tangible and intangible elements which pursues a specific economic aim on a long-term basis and can contribute to the commission of an infringement of the kind referred to in that provision.” (პარა. 311).

რომ „[TFEU 101] არ მოქმედებს შეთანხმებებსა და შეთანხმებულ ქმედებებზე იმ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე კონცერნს და აქვთ დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის სტატუსი, თუკი ეს ეკონომიკური აგენტები ქმნიან ერთ ეკონომიკურ სუბიექტს, რომლის შიგნითაც შვილობილ კომპანიას არ გააჩნია თავისუფლება, გადაწყვიტოს ბაზარზე საკუთარი მოქმედების კურსი, და თუკი ეს შეთანხმებები ან შეთანხმებული პრაქტიკა მოიცავს მხოლოდ ამოცანათა შიდა გადანაწილებას აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს შორის.“[11]

საქმეში C-73/95 P, *Viho Europe v. Commission* ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომაც დაადასტურა აღნიშნული მიდგომა. ამ საქმეში საკითხი ეხებოდა <u>დედა კომპანიასა და შვილობილ კომპანიებს (წილის 100%-ით)</u> შორის დადებულ შეთანხმებებს. სასამართლომ დაადგინა, რომ დედა კომპანია (მწარმოებელი) აკონტროლებდა შვილობილი კომპანიების (ამავდროულად, მისი დისტრიბუტორების) სტრატეგიას: გაყიდვებს (ფასებს, მარჟებს, თანხის ბრუნვას, ფასდაკლებებს, ა.შ.), რეკლამასა და მარკეტინგის პოლიტიკას; შესაბამისად, შვილობილ კომპანიებს არ ჰქონდათ <u>„რეალური ავტონომია“ და საკუთარი მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა;</u> არამედ, ისინი ასრულებდნენ თავიანთი მაკონტროლებელი დედა კომპანიის ინსტრუქციებს. შედეგად, აღნიშნული კომპანიები ქმნიდნენ „ერთ ეკონომიკურ სუბიექტს, რაც გამორიცხავდა TFEU 101-ის მოქმედებას.[12] საქმეში *Viho* სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის აუცილებელი, შეთანხმება ერთი ეკონომიკური სუბიექტის შიგნით ამოცანათა შიდა გადანაწილებას ეხებოდეს. თუმცა, ამ საქმეშიც დედა კომპანია ფლობდა შვილობილი კომპანიის წილის 100%-ს; ასევე, სახეზე იყო, დედა კომპანიის მხრიდან, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე ფაქტობრივი კონტროლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, რამდენიმე პირის ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შერაცხვის საკითხის განხილვისას, შესამოწმებელ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს კონკრეტული კომპანიის **რეალური ავტონომიისა და კომპანიის მოქმედების კურსის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა.** ზოგიერთ შემთხვევაში ავტონომიის მაღალი ხარისხის არსებობა შესაძლებელია მაშინაც, თუ დაკმაყოფილებულია ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები კანონის მე-3 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ურთიერთდამოკიდებული პირების ცნების ქვეშ კანონი მოიაზრებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს, ნათესავებისა და მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ჩათვლით, ხოლო კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობის გამორიცხვა პირთა ამდენად ფართო

[11] „Article 85, however, is not concerned with agreements or concerted practices between undertakings belonging to the same concern and having the status of parent company and subsidiary, if the undertakings form an economic unit within which the subsidiary has no real freedom to determine its course of action on the market, and if the agreements or practices are concerned merely with the internal allocation of tasks as between the undertakings.“ (პარა. 41); იხ. ასევე, საქმე 30/87 *Bodson*, პარა. 19.

[12] საქმე C-73/95 P, *Viho Europe v. Commission,* პარა. 15-17; იხ. ასევე, საქმე 30/87 *Bodson*, პარა. 20: „[...] that the undertakings pursue the same market strategy, which is determined by the parent company.“

წრისათვის შეეწინააღმდეგებოდა კანონის მიზანს, დაიცვას და უზრუნველყოს კონკურენცია ბაზრის შესაძლო მაქსიმალურ ნაწილზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ერთი პირის მიერ დაფუძნებულ ან ერთი პირის მიერ მართულ ურთიერთდამოკიდებულ პირებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინსტრუქციას შეიცავს საქმე 170/83, *Hydrotherm v. Compact*. საიდანაც იკვეთება, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ერთი ფიზიკური პირის მიერ სრულად კონტროლირებულ ეკონომიკურ აგენტებს განიხილავს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად. საქმის გარემოებები გარკვეულწილად უნიკალურია იმდენად, რამდენადაც უკავშირდება ევროკომისიის მიერ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისების დადგენის ძველ რეჟიმს. აღნიშნული რეჟიმის პირობებში, (კონკურენტ) ეკონომიკურ აგენტებს წინასწარ შეეძლოთ ევროკომისიისთვის შეეტყობინებინათ (მათი აზრით) კონკურენციის (შესაძლო) შემზღუდველი ხელშეკრულების შესახებ, ხოლო კომისია მათ აცნობებდა, არღვევდა თუ არა შეტყობინებული შეთანხმება ევროკავშირის კონკურენციის სამართალს. რეგულაცია No 67/67[13], რომელიც განამტკიცებდა აღნიშნულ სამართლებრივ რეჟიმს, აღნიშნავდა, რომ ის ვრცელდებოდა მხოლოდ შეთანხმებებზე „ორ ეკონომიკურ აგენტს შორის“.

ECJ-იმ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა შემდეგი: „არსებობს ეჭვი, რომ რეგულაცია No67/67, რომელიც მოქმედებს „ორ ეკონომიკურ აგენტს“ შორის დადებულ ხელშეკრულებებზე, შესაძლოა არ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, რადგან ის დადებულია, ერთი მხრივ, კომპანია Hydrotherm-სა და, მეორე მხრივ, სამ სხვადასხვა პირს: ბატონ ანდრეოლის (ფიზიკური პირი) და ეკონომიკურ აგენტებს Compact-სა და Officine Sant'Andrea-ს, შორის. არ არის სადავო, რომ ბატონი ანდრეოლი სრულად აკონტროლებს აღნიშნულ ორ ეკონომიკურ აგენტს.

კონკურენციის სამართალში ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ უნდა იყოს გაგებული, როგორც ეკონომიკური სუბიექტი [კომისიისთვის შეტყობინებული] ხელშეკრულების საგნის მიზნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეკონომიკური სუბიექტი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე პირს, ფიზიკურსა თუ იურიდიულს.

შესაბამისად, რეგულაცია No67/67-ის პირველი მუხლის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუკი [კომისიისთვის შეტყობინებული] ხელშეკრულების ერთი მხარე <u>მოიცავს ეკონომიკურ აგენტებს, რომლებსაც აქვთ იდენტური ინტერესები და კონტროლდებიან ერთი და იმავე ფიზიკური პირის მიერ,</u> რომელიც, ასევე, წარმოადგენს [კომისიისთვის შეტყობინებული] ხელშეკრულების მხარეს. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულების <u>ერთ მხარეს მონაწილე პირებს შორის კონკურენცია შეუძლებელია</u> .[14]“

---

[13] აღნიშნული რეგულაცია, ისევე როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისების წინასწარ შეთანხმების რეჟიმი, დღეს აღარ არსებობს.

[14] „In Article 1 (1) of Regulation No 67/67 Article 85 (1) of the Treaty is declared inapplicable to agreements "to which only two undertakings are party". There is doubt about the applicability of that provision because the agreement at issue was concluded between Hydrotherm on the one hand and three different persons — Mr Andreoli, a natural person, and the undertakings Compact and Officine Sant'Andrea — on the other. It is an

ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზება იძლევა საშუალებას, რომ შპს „იბერია ავტო“ და შპს „კია მოტორს ჯორჯია“ ჩავთვალოთ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად, რადგან ორივე მათგანზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“. შესაბამისად, დასახელებულ ორი ეკონომიკური აგენტი ვერ იქნება მიჩნეული, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები და მათზე, ინდივიდუალურად ვერ გავრცელდება კანონის მე-7 მუხლი.

შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი მიმართულია სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით გამოცხადებულ ტენდერებში კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების სავარაუდო ნიშნების არსებობისაკენ. ამიტომ, სააგენტომ ასევე ყურადღება გაამახვილა აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის პრაქტიკაზე.

მნიშვნელოვანია ლიტვის კონკურენციის ორგანოს უახლესი პრაქტიკა. კერძოდ, ლიტვის უზენაესმა სასამართლომ, წინასწარი მიმართვის პროცედურის ფარგლებში მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შემდეგი კითხვებით:

1. ევროკავშირის არსებული რეგულაციების ფარგლებში, არიან თუ არა ვალდებულნი ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ცალ-ცალკე იღებენ ერთსა და იმავე ტენდერში მონაწილეობას, განუცხადონ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციას, იმისდა მიუხედავად, ავალდებულებს თუ არა მათ მსგავს ქმედებას ნაციონალური კანონმდებლობა? ხომ არ იქონიებს დასმულ კითხვაზე გავლენას ის ფაქტი, ჰქონდა თუ არა ადგილი ტენდერში რეალურ კონკურენციას? თუ ტენდერში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ ეკისრებათ ურთიერთდამოკიდებულების გაცხადების ვალდებულება, ეკისრება თუ არა მხოლოდ შემსყიდველ სახელმწიფო ორგანოს იმ შესაძლო ნეგატიური ეფექტის რისკი, რაც შესაძლოა მოყვეს მსგავს ტენდერს?

2. პირველი კითხვის პასუხის მიუხედავად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების (eVigilo, C-538/13) გათვალისწინებით, იქნება თუ არა ვალდებული შემსყიდველი ორგანიზაცია, მოსთხოვოს მხარეებს საკუთარი კავშირების გათქმა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის დაცვის მიზნებისათვის, თუ ტენდერის მიმდინარეობისას ნებისმიერი საშუალებით აღმოჩნდება, რომ რამდენიმე პრეტენდენტს

---

undisputed fact that Mr Andreoli has complete control of both those undertakings. In competition law, the term "undertaking" must be understood as designating an economic unit for the purpose of the subject-matter of the agreement in question even if in law that economic unit consists of several persons, natural or legal. The requirement of Article 1 (1) of Regulation No 67/67 is therefore fulfilled if one of the parties to the agreement is made up of undertakings having identical interests and controlled by the same natural person, who also participates in the agreement. For in those circumstances competition between the persons participating together, as a single party, in the agreement in question is impossible. 1 2 The answer to the first question must therefore be that Regulation No 67/67 must be applied even if several legally independent undertakings participate in the agreement as one contracting party provided that those undertakings constitute an economic unit for the purposes of the agreement.“ პარა. 10-12.

შორის არსებობს გარკვეული კავშირები? თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ გადადგამს მსგავს ნაბიჯებს დაარღვევს თუ არა იგი თავისუფალი კონკურენციის პრინციპებს და წესებს?[15]

მართალია, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი მიმართვის პროცედურის ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა ცნობილია გენერალური ადვოკატის (Advocate General)[16] წინასწარი მოსაზრება. მის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ევროკავშირის არსებული კანონმდებლობა და რეგულაციები არ ავალდებულებს ეკონომიკურ აგენტებს წინასწარ, ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე ან ტენდერის მიმდინარეობისას განაცხადონ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. რაც შეეხება შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულებას მეორე კითხვიდან გამომდინარე, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით აღმოაჩენს, რომ მის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას იღებენ ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები ერთდროულად და ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს პროცესის გამჭვირვალობასა და შეზღუდოს კონკურენცია, მან უნდა მოთხოვოს შესაბამისი ინფორმაცია ეკონომიკურ აგენტებს.[17] თუმცა, დასკვნა არაფერს ამბობს ინფორმაციის მიღების შემდგომ პროცედურაზე. **წინასწარ დასკვნაში, არაერთგზის ხაზგასმულია, რომ თუ ტენდერში მონაწილეობას იღებენ ერთი და იმავე დედა კომპანიის შვილობილი კომპანიები, ან თავად დედა კომპანია და შვილობილი კომპანია, მათ მიმართ TFEU 101 მუხლი არ გამოიყენება.[18]**

ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის 93/37/EEC დირექტივის განმარტება, თუ რომელი პირები ითვლებიან სახელმწიფო შესყიდვებისათვის ურთიერთდამოკიდებულ პირებად და რა შემთხვევაში აქვს ერთ ეკონომიკურ აგენტს მეორეზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. კერძოდ, „ურთიერთდამოკიდებული პირი“ ნიშნავს პირს, რომელზეც სხვა პირს (კონცესიონერს) პირდაპირ ან არაპირდაპირ შეუძლია არსებითი გავლენის მოხდენა, ან მას შეუძლია კონცესიონერზე გავლენის მოხდენა, ან ის კონცესიონერთან ერთად არის არსებითი გავლენის ქვეშ სხვა ეკონომიკური აგენტის მხრიდან საკუთრების უფლებიდან, ფინანსური თანამონაწილეობიდან ან მმართველობის არსებული წესებიდან გამომდინარე. პირდაპირ ან არაპირდაპირ არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობად მიიჩნევა, თუ სხვა ეკონომიკური აგენტი:

- ფლობს ეკონომიკური აგენტის კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს, ან
- ახორციელებს კონტროლს ხმის უფლების მქონე აქციათა უმრავლესობაზე, ან

---

[15] იხ, **Opinion of Advocate General Campos Sánchez-Bordona delivered on 22 November 2017**, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62016CC0531.

[16] იხ, https://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_7024/en/.

[17] იხ, **Opinion of Advocate General Campos Sánchez-Bordona delivered on 22 November 2017**, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62016CC0531 „The contracting authority will be obliged to request from those tenderers the information it considers necessary if, in the light of the evidence available in the procedure, it harbours doubts concerning the risk that the simultaneous participation of those tenderers will undermine transparency and distort competition between operators tendering to provide the service.“

[18] იხ, **Opinion of Advocate General Campos Sánchez-Bordona delivered on 22 November 2017**, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62016CC0531

- შეუძლია დანიშნოს ადმინისტრაციული, მენეჯერული ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი“.[19]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარ მოსაზრებაში დაფიქსირებული პოზიციის მსგავსი მსჯელობაა განვითარებული ხორვატიის კონკურენციის ორგანოს მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში, სადაც ნათქვამია, რომ ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა გამორიცხავს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობას. „ისეთ შემთხვევაშიც, სადაც ტენდერის მონაწილეები მიეკუთვნებიან კომპანიათა ერთ ჯგუფს, და წარმოადგენენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს კონკურენციის სამართლის შესაბამისად, მათზე არ გავრცელდება [...] კარტელთან დაკავშირებული შესაბამისი მუხლი. კონკურენციის სამართლის წესები გამოიყენება მხოლოდ იმ შეთანხმებების მიმართ, რომელიც განხორციელდა ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის. სხვა სიტყვებით, შეთანხმებები, რომლის მონაწილეებიც არიან ეკონომიკური აგენტები, რომლებიც სტრუქტურულად დაკავშირებულები არიან ერთმანეთთან, ვერ განიხილება კონკურენციის სამართლით აკრძალულ შეთანხმებად.“[20]

სააგენტო საწყის ეტაპზე ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად შპს „იბერია ავტოსა“ და შპს „კია მოტორს ჯორჯიასთან“ ერთად მოიაზრებდა სს „ფრანს ავტოსაც“. აღნიშნული მოსაზრება გაეგზავნა დასახელებულ სამივე ეკონომიკურ აგენტს. სს „ფრანს ავტო“ წარმოდგენილი წერილით გაემიჯნა აღნიშნული თეორიის გამოყენების შესაძლებლობას მათთან მიმართებით. სააგენტომ იმსჯელა და გააანალიზა მოცემული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, რის შედეგადაც სს „ფრანს ავტო“ არ იქნა მიჩნეული შპს „იბერია ავტოსთან“ და შპს „კია მოტორს ჯორჯიასთან“ მიმართებით ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.

ზემოთ მოყვანილი გარემოებები და პრაქტიკული მაგალითები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნეულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა მათ არ უკრძალავს ხსენებულ ქმედებას. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მათ შორის არსებული კავშირის მაღალი ხარისხისა და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის გათვალისწინებით, კონკურენციის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, ისინი ვერ იქნებიან განხილული დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს მათ შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობის თეორიულ დაშვებასაც კი.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, შპს „იბერია ავტო“ და შპს „კია მოტორს ჯორჯია“ სააგენტოს მიერ მიჩნეული უნდა იქნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად 2017 წლის 13 ოქტომბრიდან. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, შესწავლას არ ექვემდებარება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობის სავარაუდო ფაქტი ამ

[19] იხ, დირექტივა http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31993L0037:EN:HTML
[20] იხ, http://www.aztn.hr/en/does-it-constitute-a-violation-of-competition-rules-where-in-the-public-procurement-procedure-two-tenderers-bid-where-one-is-actually-the-founder-of-the-other/

ორ ეკონომიკურ აგენტს შორის, ხსენებული პერიოდის შემდგომ. ამდენად, მოკვლევის საგანს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენა - ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნეულ ორ კომპანიასა და მოპასუხედ დასახელებულ დანარჩენ ოთხ კომპანიას შორის.

ნაწილი 3. შესაბამისი ბაზრის ანალიზი

3.1. შესაბამისი ბაზრის საზღვრები

სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 30 სექტემბერს №30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან - ტენდერებთან მიმართებით სააგენტოს უკვე დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 07 აგვისტოს №113 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში სააგენტომ მიუთითა, რომ *,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული ყოველი ტენდერის შემთხვევაში იქმნება ცალკე შესაბამისი ბაზარი, რომელსაც გააჩნია შესვლის ცალკე ბარიერები, მასზე მოქმედი და პოტენციური სუბიექტები და მოცულობა (რომელიც განისაზღვრება შესასყიდი ობიექტის შესაბამისად). აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განიხილავს განმცხადებლის მხრიდან სადავოდ გამხდარ თითოეულ ტენდერს ცალ-ცალკე.“*

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფის მიერ განხილულ იქნა 120-მდე სახელმწიფო ტენდერი. ერთი მხრივ, დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, იმ გარემოების გამო, რომ ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მთლიანი ბაზარი, როგორც წესი იშლება არაერთ რელევანტურ ბაზრად, რომელთა ჩაშლის არაერთი მეთოდი არსებობს (მაგალითად, არსებობს საქართველოს მთავრობის 2014 წლის №121 დადგენილებით განსაზღვრული კლასები, ასევე ავტომობილების საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ კლასებს; ამავდროულად, ჩანაცვლებადობის კრიტერიუმები ჩვეულებრივი კერძო მომხმარებლისთვის არ ემთხვევა ჩანაცვლებადობის კრიტერიუმებს სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში. მაგ. ავტომატური და მექანიკური გადაცემათა კოლოფი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის ჩანაცვლებადია, სახელმწიფო შესყიდვის მიზნებისთვის კი უმეტეს შემთხვევაში - არა), სააგენტომ განსახილველი მოკვლევის

ფარგლებშიც მიიჩნია, რომ თითოეული ტენდერი წარმოადგენდა ცალ-ცალკე უნიკალურ ბაზარს. შესაბამისად, ზოგადი ტიპის ბაზრების დეფინიცია მოკვლევის ფარგლებში არ მომხდარა.

მეორე მხრივ, მოკვლევის ჯგუფის წინაშე იდგა გამოწვევა, კონტექსტის გაუთვალისწინებლად არ განხილულიყო თითოეული ტენდერი და დასკვნაში ასახულიყო ზოგადი, საერთო სურათიც. აღნიშნული მიზნით, სააგენტო დააკვირდა ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ბაზარს, როგორც ზოგად მოცემულობას და გააანალიზა ამ ბაზარზე არსებული ტენდენციები 2016-2017 წლებში (პერიოდი, რომელსაც ეხება საჩივარში დასახელებული ტენდერები).

რაც შეეხება ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებს, სააგენტომ მიიჩნია, რომ შესაბამის ბაზარს წარმოადგენს საქართველოს მთელი ტერიტორია, ვინაიდან მიწოდების წერტილები განსახილველი ტენდერების ფარგლებში გაფანტულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. დროითი საზღვრები შესაბამის ბაზარს არ გააჩნია.

3.2. შესაბამისი ბაზრის მახასიათებლები

შესაბამისი ბაზრის ზოგადი მახასიათებლების დადგენის მიზნით სააგენტომ ინფორმაცია გამოითხოვა როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან და სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. ავტომობილების იმპორტის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისა და შესაბამის ეკონომიკურ აგენტებთან კომუნიკაციის გზით, სააგენტომ გამოკვეთა ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტიორი ეკონომიკური აგენტები და გამოითხოვა მათგან შესაბამისი ინფორმაცია.

მთლიანობაში, კონკურენციის სააგენტომ ინფორმაცია მიიღო 24 ეკონომიკური აგენტისგან. 9 მათგანმა აღნიშნა, რომ 2016-2017 წლებში საერთოდ არ განუხორციელებია ახალი მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. ერთ ეკონომიკურ აგენტს შპს „ი სპეისს“ 2016 წელს არ უფიქსირდება აღნიშნული პროდუქციის იმპორტი. შესაბამისად 2016 წელს იმპორტირებული ახალი მსუბუქი ავტომობილების ბაზარი განისაზღვრა 14 ეკონომიკური აგენტით, ხოლო 2017 წელს - 15 ეკონომიკური აგენტით.

2016 წელს ქვეყანაში იმპორტირებული იქნა 4255 ერთეული ახალი მსუბუქი ავტომობილი, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი წილი სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოზე“ მოდიოდა. კომპანიამ [redacted] ერთეული ახალი ავტომობილის იმპორტი განახორციელა, რამაც მთლიანი ბაზრის მოცულობის [redacted] შეადგინა. მეორე და მესამე ადგილებზე შპს „ჯი-თი მოტორსი“ [redacted] და შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ [redacted] გადანაწილდნენ. ხუთეულშია ასევე შპს „კია მოტორს ჯორჯია“ - [redacted]იანი წილით და შპს „სტრადა მოტორსი“ რომელმაც [redacted]ით მეხუთე ადგილი დაიკავა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დიაგრამა 1).

რაც შეეხება ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელს, ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსმა (HHI) 2016 წლის მონაცემებით 2953.77 შეადგინა, ანუ ბაზარი მაღალკონცეტრირებული იყო.

დიაგრამა 1.



2017 წელს იმპორტირებული იქნა 2657 ერთეული ახალი მსუბუქი ავტომობილი, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი წილი კვლავ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოზე“ მოდის. კომპანიამ ამ წელს [redacted] ერთეული ახალი ავტომობილის იმპორტი განახორციელა, რამაც მთლიანი ბაზრის მოცულობის [redacted] შეადგინა. მეორე და მესამე ადგილებზე უკვე შეცვლილი პოზიციებით, თუმცა გაზრდილი საბაზრო წილებით შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ [redacted] და შპს „ჯი-თი მოტორსი“ [redacted] გადანაწილდნენ. რაც შეეხება მეოთხე და მეხუთე ადგილებს, აქ შპს „სტრადა მოტორსი“ [redacted] და შპს „ომეგა მოტორსი“ [redacted] წარმოგვიდგებიან (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დიაგრამა 2)

რაც შეეხება ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსს (HHI), 2017 წლის მონაცემებით 1929,54 ნიშნული შეადგინა, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მახასიათებელია.

დიაგრამა 2.



რაც შეეხება, ზოგადად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის ბაზარსა და მის მოცულობას, როგორც შესყიდვების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, 2011 წლიდან 2017 წლის ბოლომდე CPV კოდით 34100000 (რომელშიც შედის ავტომანქანები), სულ გამოცხადებულ იქნა 2104 ტენდერი. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მონაცემებში, ზოგ შემთხვევაში მოექცა ასევე ისეთ ტენდერები, რომლებიც გამოცხადებულია არა უშუალოდ ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის მიზნით, არამედ, მაგალითად, სერვისის ან სათადარიგო საბურავებისათვის. შესაბამისად, აღნიშნულ მონაცემებს, შესაძლოა, გააჩნდეს გარკვეული ცდომილება, თუმცა იგი უჩვენებს ძირითად ტენდენციას.

აღნიშნული 2104 ტენდერიდან 2016 წელს გამოცხადებული იყო 203 ტენდერი, ჯამური სავარაუდო ღირებულებით - 29 973 523 ლარი, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულებით - 27 551 176 ლარი. 2017 წელს გამოცხადდა 188 ტენდერი, ჯამური სავარაუდო ღირებულებით - 49 674 744 ლარი, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულებით - 45 573 972 ლარი.

უფრო კონკრეტულად, როგორც ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, ზემოთ მოყვანილი ჯამური თანხებიდან მსუბუქ ავტომობილებზე 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 10 262 505.31 ლარი, მაღალი გამავლობის მსუბუქ ავტომობილებზე - 4 510 121.66, ხოლო სატვირთო ავტომობილებზე - 890 066 ლარი (სულ ამ სამი კატეგორიისათვის - 15 662 692 ლარი); რაც შეეხება ჯამურ მაჩვენებელს ყველა სახის ავტოსატრანპორტო საშუალებებისათვის, ეს მაჩვენებელი 19 817 741

ლარს შეადგენს. 2017 წელს იგივე მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მსუბუქი ავტომობილებისთვის - 15 068 287.66 ლარი, მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილებისთვის - 3 789 023.48, სატვირთოებისთვის - 1 508 241.52 (სულ ამ სამი კატეგორიისთვის -20 365 552 ლარი), ხოლო ჯამურად ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის - 38 004 798.80 ლარი.

თავი 4. სააგენტოს შეფასება

სააგენტომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი და მოკვლევის ფარგლებში მოპოვებული მასალები განიხილა და შეაფასა კანონის მე-7 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტთან მიმართებით.

სააგენტო მიუთითებს, რომ რეალურად, ,,ვ" ქვეპუნქტით რეგულირებულ შემთხვევათა წრე მოიცავს მე-7 მუხლის პრაქტიკულად ყველა ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას, მხოლოდ ერთი დამატებითი ფაქტორით - აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა.

ამავდროულად, სააგენტო მიუთითებს, რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის იგი უშუალოდ მონაწილეობდეს სახელმწიფო ტენდერში. უფრო მეტიც, დარღვევა შეიძლება დადგინდეს სწორედ ტენდერში მონაწილეობის მიღებისგან თავშეკავების გამო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ქმედების ეკონომიკური შინაარსი უთანაბრდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შემადგენლობას, კერძოდ, საკუთარი წარმოების შეზღუდვას (ინგ. limiting), რაც მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსსა და შესაბამისად, არასამართლიან ფასწარმოქმნას იწვევს. თუმცა, აღნიშნული შეთანხმების დადება ტენდერში მონაწილეებს, ან პოტენციურ მონაწილეებს შორის აქცევს ამ ქმედებას სწორედ ,,ვ" ქვეპუნქტით რეგულირებულ საკითხად.

ვინაიდან მომჩივანი უპირატესად აპელირებდა სწორედ იმაზე, რომ ტენდერების დიდ ნაწილში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, ხოლო დანარჩენ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა აბსოლუტურ უმრავლესობაში 3-ს არ აღემატებოდა, მოკვლევის ჯგუფმა აქცენტი გადაიტანა სწორედ - კონკრეტულ შემთხვევებში ტენდერში მონაწილეობისგან თავის შეკავების გზით მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის შესაძლო შეთანხმების არსებობაზე. აღსანიშნავია ასევე შესყიდვების სააგენტოს პოზიცია, რომლის თანახმადაც ერთპრეტენდენტიანი ტენდერები არ ნიშნავს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რასაც ასევე ადასტურებს საერთაშორისო პრაქტიკა.[21]

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტომ ასევე იმსჯელა იმაზეც, რომ ტენდერებში, სადაც რამდენიმე პრეტენდენტი მონაწილეობდა, ადგილი ხომ არ ჰქონდა ე.წ. ,,მოჩვენებით კონკურენციას" რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტულმა მონაწილეებმა არ გაუწიეს მაქსიმალური შესაძლო კონკურენცია დანარჩენებს.

[21] 2018 წლის 17 იანვრის №01/18 წერილი.

4.1. მონაწილეობის მიღებისგან თავშეკავება

მოკვლევის ჯგუფმა ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მის ხელთარსებული დოკუმენტაცია დაამუშავა რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებით. კერძოდ, ვინაიდან საჩივრის საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევა სხვა პრინციპებთან ერთად, ასევე ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს და მოკვლევის ფარგლებში განხილულ უნდა იქნას კონკრეტულად მომჩივანის მიერ განსაზღვრულ (საჩივარში მითითებულ) მოპასუხეთა მხრიდან კონკურენციის სავარაუდო შეზღუდვის ფაქტები, ჯგუფმა მიიჩნია, რომ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, ლოგიკურად, ადგილი ვერ ექნებოდა იმ ტენდერებთან მიმართებით, სადაც გამარჯვებულ კომპანიას არ წარმოადგენს არც ერთი მოპასუხე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კანონის მე-7 მუხლით აკრძალული შეთანხმება გულისხმობს შეთანხმებულ მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის ხელსაყრელი პირობების დადგენას, შესაბამისად, თავშეკავების შემთხვევები მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ ტენდერში მონაწილეობა მიიღოს (გაიმარჯვოს) შეთანხმების მეორე მხარემ. ისეთ ტენდერებში, სადაც ერთადერთ მონაწილეს, ან გამარჯვებულს წარმოადგენდა სხვა კომპანია (რომელიც მომჩივანის მიერ მოპასუხედ არ არის მითითებული), ლოგიკურია, ჩავთვალოთ, რომ მოპასუხეებს შორის შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია, რადგან სრულიად სხვა კომპანიის გამარჯვებით არ იკვეთება რომელიმე მოპასუხის მიერ სარგებლის მიღების ფაქტი, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ანტიკონკურენტული შეთანხმების ბუნებას. სულ, განხილული 118 ტენდერიდან, საიდანაც 58-ში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, ხოლო 60-ში - 1-ზე მეტი, გვხვდება 18 ისეთი ტენდერი (ამ 18-დან 4 ტენდერი მოიგო მომჩივანმა), სადაც მოპასუხეთაგან არც ერთს არ გაუმარჯვია, ხოლო ერთ-ერთ მათგანში საერთოდ არც ერთი მოპასუხე არ მონაწილეობდა (NAT170005246). შესაბამისად, მოკვლევის ჯგუფმა მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, ლოგიკურად ვერ ექნებოდა ადგილი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მოკვლევის ჯგუფმა საბოლოოდ და ცალსახად მაინც არ გამორიცხა ხსენებულ 18 ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავების სავარაუდო შემთხვევები და საკითხი შეისწავლა იმავე პრინციპით, როგორც დანარჩენი ტენდერები.

ტენდერებში მონაწილეობისგან თავშეკავების სავარაუდო შეთანხმებული შემთხვევების შესწავლისას მოკვლევის ჯგუფმა მიიჩნია, რომ შეთანხმების არსებობის მაღალი ხარისხის ვარაუდს შექმნიდა შემდეგი წინაპირობების კუმულატიური დაკმაყოფილება:

1. კონკრეტულ მოპასუხეს მონაწილეობა არ აქვს მიღებული კონკრეტულ ტენდერში;

2. აღნიშნულ მოპასუხეს კატალოგში (პროდუქციის ასორტიმენტი) გააჩნია სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების კონკრეტული მოდელი;

3. მოპასუხეს შეეძლო აღნიშნული მოდელის ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდება შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში;

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატებოდა მოპასუხის საქონლის თვითღირებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოკვლევის ჯგუფის პირველად ამოცანას წარმოადგენდა გამოევლინა ისეთი ტენდერები, სადაც კონკრეტულ მოპასუხეებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება და არ მიიღეს. ხოლო კვლევის შემდეგ ეტაპზე, მოკვლევის ჯგუფს უნდა დაედგინა ის, ედო თუ არა საფუძვლად აღნიშნულ ფაქტს მოპასუხეებს შორის რაიმე სახის შეთანხმება. შეთანხმების ფაქტის დასადასტურებლად, თავის მხრივ, აუცილებელია, რომ ტენდერები განხილულ იქნას არა მხოლოდ ცალ-ცალკე, არამედ იმ ტენდერების ერთობლიობა, სადაც ზემოხსენებული პრობლემა დგას, უნდა იქნას განხილული კომპლექსურადაც, რათა დადგინდეს, ხომ არ აქვს ადგილი ე.წ. „კარუსელის" პრინციპს, ანუ მონაცვლეობას ეკონომიკურ აგენტებს შორის, ხომ არ არის ტენდერები განაწილებული რაიმე პრინციპით და სხვა. ამგვარი ,,კანონზომიერების" აღმოჩენა კიდევ უფრო მეტად ზრდის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დადასტურების ალბათობას.

ზემოთ მოყვანილი ოთხი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების კვლევისათვის მოკვლევის ჯგუფმა, ერთი მხრივ, დაამუშავა იმ ტენდერების მონაცემები, რომლებზეც აპელირებდა მომჩივანი, ხოლო მეორე მხრივ ერთდროულად გამოითხოვა ინფორმაცია ყველა მოპასუხისგან და საჯარო უწყებებიდან. კერძოდ, მოკვლევის ჯგუფმა მიიღო დეტალური ინფორმაცია მოპასუხე კომპანიების მიერ განხორციელებული უკლებლივ ყველა იმპორტის ოპერაციის შესახებ (რომელიც ეხებოდა ახალ (ექსპლუატაციაში არმყოფ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებს), ასევე ინფორმაცია პოტენციური იმპორტის ოპერაციის შესახებ (უცხოელი მიმწოდებლისგან პროდუქციის მიღების ვადები და პირობები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კონკრეტული მოდელი ადგილზე არ ჰყავდათ), 2016-2017 წლებში თვეების მიხედვით მოპასუხეების მიერ იმპორტირებული თითოეული მოდელის რეალიზაციისა და ნაშთების მაჩვენებლები, ინფორმაცია თითოეული მოდელის ცალკეული მახასიათებლების, თვითღირებულების, სარეალიზაციო ფასის, მოგების მარჟებისა და ასევე ბიზნესის ლოგისტიკური ან სხვა სახის თავისებურებების შესახებ. აღნიშნულმა ინფორმაციამ მოკვლევის ჯგუფს საშუალება მისცა, თითოეული ტენდერისთვის ცალ-ცალკე გამოეკვეთა პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობა (მოპასუხეთა წრიდან).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოკვლევის ჯგუფი მსჯელობდა თითოეული მოდელის საბაზისო მონაცემებიდან გამომდინარე, შესაბამისად, იგი მოკლებული იყო ინფორმაციას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნაშთში არსებული ავტომობილის ფერის, ქრაშ-ტესტის, აირბაგების რაოდენობის, აუდიო სისტემისა და სხვა დეტალების შესახებ, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ტექნიკური დოკუმენტაციით მოთხოვნილ მახასიათებელს წარმოადგენდა.

აღნიშნული სახის კვლევის ჩატარების შემდეგ, სააგენტომ იმ ტენდერებიდან, რომლებშიც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, გამოკვეთა 19, ხოლო იმ ტენდერებიდან სადაც ერთზე მეტი პრეტენდენტი მონაწილეობდა, გამოკვეთა 20 ტენდერი, სადაც მონაცემთა პირველადი ანალიზით ჩანდა, რომ წესით, ერთ მოპასუხეს მაინც ჰქონდა შესაძლებლობა (ნაშთის, ან მიწოდების ვადიდან გამომდინარე) მონაწილეობა მიეღო

ტენდერში. აღნიშნულთან დაკავშირებთ სააგენტომ მიმართა მოპასუხე მხარეებს და მოითხოვა მათგან დეტალური განმარტება თითოეულ ასეთ ტენდერთან მიმართებით, პირველ შემთხვევაში, ახსნა-განმარტების შეხვედრაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, წერილობითი კორესპონდენციის სახით. როგორც აღმოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში, კომპანიები ვერ აკმაყოფილებდნენ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ამა თუ იმ პირობას.

ქვემოთ მოცემულია ტენდერები, სადაც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა[22]:

ტენდერი SPA160013816

შპს „სტრადა მოტორსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ ტენდერში მოთხოვნილი იყო ავტომობილი 4X4-ზე, რა მახასიათებელიც მათ შესაბამის ავტომობილს, ფიატ დუკატოს არ გააჩნდა. რაც შეეხება სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“, მასაც არ ჰყავდა ასორტიმენტში შესაბამისი მახასიათებლების მაღალი გამავლობის ავტომობილი.

ტენდერი SPA160014562

შპს „სტრადა მოტორსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული ტენდერით მოთხოვნილი კლასის შესაბამისი ავტომობილები - ფიატ ფიორინო კარგო და ფიატ დობლო, არ ჯდებოდა როგორც ფასის კატეგორიაში, ასევე ვერ აკმაყოფილებდნენ რიგ ტექნიკურ მოთხოვნებს, კერძოდ - სიგრძე, სიგანე, სიმაღლის კატეგორიებს. შპს „ჯი-თი მოტორსის“ ინფორმაციით კი, გამოცხადებული ფასი მნიშვნელოვნად დაბალი იყო მათი ავტომობილის - ფორდ ტრანზიტის გარკვეული მოდელების ფასზე, გარდა ამისა, ტენდერის გამოცხადების პერიოდში ეროვნული ვალუტა განიცდიდა მნიშვნელოვან რყევებს, რის გამოც კომპანია ხშირად იკავებდა თავს ტენდერებში მონაწილეობისაგან.

ტენდერი SPA160012273

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მონაცემებით, აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ჰიუნდაი ელანტრას მოდელით, თუმცა მიწოდების ვადა იყო 15 დღე, რა პერიოდშიც შეკვეთა და ავტომობილის ჩამოყვანა ვერ მოხერხდებოდა, ადგილზე კი მსგავსი მოდელი არ ჰყავდათ. შპს „იბერია ავტოს“ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლო ფოლკსვაგენ ჯეტათი, თუმცა მისი თვითღირებულებაც კი (მხოლოდ ავტომობილის საგარანტიო მომსახურების გარეშე) აღემატება ტენდერით დადგენილ ფასს, გარდა ამისა, მოთხოვნილი იყო 5 წლიანი გარანტია აგრეგატებზე, რაც ფოლკსვაგენს ჩვეულებრივ არ გააჩნია.

---

[22] **შენიშვნა:** ქვემოთ მოყვანილი ტენდერებთან მიმართებით მოცემულია მხოლოდ იმ კომპანიების არმონაწილეობის მიზეზები, რომლებსაც სააგენტომ დაუსვა შესაბამისი კითხვა. დანარჩენ კომპანიებთან მიმართებით სააგენტომ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე კვლევის პირველ ეტაპზევე მიიჩნია, რომ მათ არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება იმის გამო, რომ ვერ აკმაყოფილებდნენ სატენდერო პირობებს, ან მითითებულ ვადაში არ შეეძლოთ საქონლის მიწოდება.

ტენდერი SPA160017648

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ განცხადებით, მესამე კლასის მსუბუქ ავტომობილებში კომპანია 2016 წლის მარტი-აპრილიდან საერთოდ ვეღარ იღებს მონაწილეობას, რადგან შესაბამის მოდელებს აღარ აქვთ ე.წ. ქრაშ ტესტი. შპს „ჯი-თი მოტორსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით კი, მათთვის განმსაზღვრელი იყო გეგმიური და არაგეგმიური მომსახურების მიწოდების ვალდებულება ქ. ქუთაისში, სადაც მათ სერვის ცენტრი არ გააჩნიათ. შესაბამისად, ეს იყო მიზეზი, რის გამოც აღნიშნულ ტენდერში ვერ მიიღეს მონაწილეობა. რაც შეეხება სს „ფრანს ავტოს“, მათი წარმომადგენლის განცხადებით, ტენდერის გამოცხადების პერიოდში ტენდერებზე პასუხისმგებელი პირი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ იმყოფებოდა სამსახურებრივ ადგილზე, შეთავაზებების დაფიქსირებს დრო კი იყო ძალზე მცირე.

ტენდერი SPA170012410

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა შეეძლო ჰიუნდაი ტუსონის მექანიკური გადაცემის კოლოფის მქონე ავტომობილით, რომელიც იმ ეტაპისთვის ადგილზე არ ჰყავდათ, ხოლო 60 დღეში, რაც განსაზღვრული იყო მიწოდებისათვის, ვერ მოასწრებდნენ შეკვეთასა და ჩამოყვანას. შპს „ჯი-თი მოტორსს“ მართალია, შეეძლო რამდენიმე ავტომობილით მოცემულ ტენდერში შესვლა, თუმცა თითოეული მათგანი იყო ტენდერში მოცემულ ღირებულებაზე ბევრად ძვირი, შესაბამისად მსგავსი ტიპის ტენდერებში კომპანია მონაწილეობას არ იღებდა.

ტენდერი SPA160002428

შპს „იბერია ავტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კომპანია აღნიშნულ ტენდერში ორი მიზეზის გამო ვერ მიიღებდა მონაწილეობას: მათ ავტომობილებს (ამ შემთხვევაში ყველაზე ახლოს იდგა ფოლკსვაგენ ტიგუანი) არ გააჩნდათ 5 წლიანი გარანტია და ასევე, მოცემული მოდელი სიგრძით ნაკლები იყო ტენდერში მოთხოვნილ სიგრძეზე. შპს „სტრადა მოტორსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათი მოცემული კლასის ავტომობილებიდან ფიატ 500 X ვერ აკმაყოფილებდა ტექნიკურ მოთხოვნებს, სიგანეს, სიმაღლეს, ცხენის ძალას, მართალია ჯიპ კომპასი ადგილზე იყო 4X2-ზე, თუმცა მოთხოვნილი იყო 4X4-ზე, რისი მიწოდებაც 10 დღის ვადაში (შეკვეთა, ჩამოყვანა) ვერ მოხერხდებოდა. რაც შეეხება შპს „ჯი-თი მოტორსს“, მათ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ფორდ მონდეოს მოდელით, რომელიც ადგილზე არ ჰყავდათ და 10 დღეში მისი შეკვეთა და ჩამოყვანა შეუძლებელი იყო.

ტენდერი SPA160003370

შპს „იბერია ავტოს“ განცხადებით, კომპანია აღნიშნულ ტენდერში ორი მიზეზის გამო ვერ მიიღებდა მონაწილეობას: მათ ავტომობილებს (ამ შემთხვევაში ყველაზე ახლოს იდგა

ფოლკსვაგენ ჯეტა) არ გააჩნდათ 5 წლიანი გარანტია და ასევე მოცემული მოდელის ღირებულება აღემატებოდა გამოცხადებულ ფასს. (სააგენტომ გადაამოწმა აღნიშნული გარემოება და ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ტენდერის ჩატარების პერიოდში (02.02.2016) არსებული ვალუტის კურსისა (1 USD = 1,4702 GEL) და ავტომობილის თვითღირებულების (მინიმუმ [redacted] USD) გათვალისწინებით, **მხოლოდ ავტომობილის** თვითღირებულება [redacted] ლარს შეადგენდა, ხოლო საგარანტიო მომსახურებასთან ერთად, იგი აღემატებოდა გამოცხადებულ სავარაუდო ფასს, 50 000 ლარს).

შპს „ჯი-თი მოტორსს“ შეეძლო აღნიშნულ ტენდერში ფორდ ფოკუსით მიეღო მონაწილეობა, თუმცა მოთხოვნილი იყო კონკრეტულად ვერცხლისფერი ავტომობილი, რაც ადგილზე არ ჰყავდათ.

სს „ფრანს ავტოს“ 2016 წელს მეორე კლასის მსუბუქ ავტომობილებზე გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობას ვერ იღებდა, რადგან არ ჰყავდა შესაბამისი ავტომობილები.

ტენდერი SPA160004028

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი ავტომობილების მაქსიმალური ტვირთამწეობა არის 1200 კგ, ხოლო მოთხოვნილი იყო 1400 კგ. შპს „სტრადა მოტორსის“ ავტომობილებიდან, ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლო ფიატ დუკატოს, თუმცა ისიც ვერ აკმაყოფილებდა ფასისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების მოთხოვნებს, მიწოდების ვადად კი მხოლოდ 5 დღე იყო განსაზღვრული, რა პერიოდშიც ვერ მოხერხდებოდა შესაბამისი ავტომობილის მიწოდება.

ტენდერი SPA160005834

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი ავტომობილების მაქსიმალური ტვირთამწეობა არის 1200 კგ, ხოლო მოთხოვნილი იყო 1900 კგ. შპს „ჯი-თი მოტორსს“ შეეძლო მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ ტენდერში ფორდ ტრანზიტით. მსგავსი ტიპის ავტომობილები იშვიათად ყავს კომპანიას ადგილზე, ამიტომ საჭირო იყო მისი შეკვეთა. აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირებულ იყო ვალუტის ხშირი რყევა, მიწოდების ვადა იყო 150 დღე, ხოლო ანგარიშსწორების პერიოდი კი გახლდათ მიწოდებიდან 30 დღე. კომპანიის პოზიციით, შეუძლებელი იყო ამ პერიოდის მანძილზე ფინანსური რისკის გათვლა და ამიტომ მათ თავი შეიკავეს ტენდერში მონაწილეობის მიღებისაგან.

ტენდერი SPA160011629

შპს „სტრადა მოტორსის“ ხელთ არსებული ავტომობილებიდან მონაწილეობის მიღება ტენდერში შეეძლო ფიატ ფიორინოს, რომელიც მთელ რიგ ტექნიკურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ხოლო ფიატ დობლო და სკუდო კიდევ უფრო დიდი და ძვირადღირებული ავტომობილები არიან, შესაბამისად აღნიშნული ავტომობილებით კომპანია ვერ მიიღებდა

ტენდერში მონაწილეობას. შპს „ჯი-თი მოტორსს“ კი არ ჰყავდა მოთხოვნილი სიგრძის ავტომობილი.

ტენდერი SPA160026205

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ შესაბამისი კლასის მოდელს არ გააჩნდა ქრაშ ტესტი, შესაბამისად ვერ მიიღებდა მონაწილეობას ტენდერში. შპს „ჯი-თი მოტორსს“ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლო ფორდ ფიესტათი. ადგილზე კომპანიას ჰყავდა თეთრი ფერის მოდელები, ხოლო მოთხოვნილ იყო ვერცხლისფერი. მიწოდების ვადა კი იყო 5 დღე, რა პერიოდშიც ბუნებრივია ვერ მოხდებოდა ავტომობილის შეკვეთა და ჩამოყვანა. შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ მონაწილეობა მოცემულ ტენდერში შეძლო კია რიოს მოდელით, თუმცა იგი ფასით აღემატებოდა ტენდერით შემოთავაზებულ ფასს.

ტენდერი SPA160002606

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ შესაბამისი კლასის მოდელს არ გააჩნდა ე.წ. ქრაშ ტესტი, შესაბამისად ვერ მიიღებდა მონაწილეობას ტენდერში. შპს „ჯი-თი მოტორსს“ შეეძლო ტენდერში მონაწილეობის მიღება ფორდ ფიესტათი, თუმცა აღნიშნული მოდელი გახლავთ ბენზინის ძრავზე, მოთხოვნილ კი იყო დიზელის ძრავიანი, გარდა ამისა მოთხოვნილ იყო ვერცხლისფერი ავტომობილი, რაც ასევე არ იყო ადგილზე. შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ მონაწილეობა მოცემულ ტენდერში შეეძლო კია რიოს მოდელით, ადგილზე კომპანიას ჰყავდა მხოლოდ 1 მოდელი, მოთხოვნილი კი იყო 2 ერთეული, მიწოდების ვადად კი განსაზღვრული იყო სამი დღე, რა პერიოდიც არ იყო საკმარისი ავტომობილის ჩამოსაყვანად.

ტენდერი SPA160028125

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ შესაბამისი კლასის მოდელს არ გააჩნდა ე.წ. ქრაშ ტესტი, შესაბამისად ვერ მიიღებდა მონაწილეობას ტენდერში. შპს „ჯი-თი მოტორსს“ მონაწილეობის მიღება ტენდერში შეეძლო ფორდ ფიესტათი, თუმცა არსებული მანქანები იყო თეთრი ფერის ხოლო ტენდერით მოთხოვნილი იყო ვერცხლისფერი. გარდა ამისა, ტენდერი გამოცხადებული იყო ავტომობილების ჩანაცვლების პირობით და ჩასანაცვლებელი ავტომობილები კი იმყოფებოდნენ ცუდ მდგომარეობაში. შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ მონაწილეობა მოცემულ ტენდერში შეეძლო კია რიოს მოდელით, ადგილზე კომპანიას ჰყავდა მხოლოდ 1 მოდელი, მოთხოვნილი კი იყო 5 ერთეული, მიწოდების ვადად კი განსაზღვრული იყო ხუთი დღე, რა პერიოდიც არ იყო საკმარისი ავტომობილის ჩამოსაყვანად.

ტენდერი SPA160030516

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მონაწილეობის მიღება შეეძლო ჰიუნდაი კრეტას მოდელით, თუმცა მას არ გააჩნია ე.წ. ქრაშ ტესტი, რის გამოც კომპანია ვერ მიიღებდა მონაწილეობას ტენდერში. რაც შეეხება სს „ფრანს ავტოს“, მათ შესაბამისი მოდელი ჰყავდათ

მხოლოდ დიზელზე მომუშავე (რენო დასტერი), ხოლო მოთხოვნილი იყო ბენზინის ძრავიანი ავტომობილი.

ტენდერი SPA160031551

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მოცემულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლო ჰიუნდაი კრეტას მოდელით, თუმცა მას არ გააჩნია ე.წ. ქრაშ ტესტი, რის გამოც კომპანია ვერ მიიღებდა მონაწილეობას ტენდერში. შპს „ჯი-თი მოტორსის“ განცხადებით, მათ რამდენიმე მიზეზის გამო არ მიიღეს მონაწილეობა ტენდერში, კერძოდ ჩასანაცვლებელი იყო 7 ტოიოტა ჰაილუქსი, რომლებიც შეფასებული იყვნენ მაღალ ფასად. ამასთან მიწოდების ვადა იყო მცირე, კერძოდ 10 დღე. ასევე, ტენდერი ითვალისწინებდა ფასის კლებას ყველა კომპონენტზე თანაბრად, რაც კომპანიის მოსაზრებით არის ნეგატიური პირობა და იწვევს ფასის კლებას მომსახურების მიწოდების ხარისხის ხარჯზე, მაშინ როდესაც შესაძლებელია ფასის კლება მოხდეს მხოლოდ ავტომობილზე. მოცემულ პირობათა ერთობლიობის გამო კომპანიამ არ მიიღო მონაწილეობა ტენდერში.

ტენდერი SPA170004524

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ განცხადებით მოხდა ტექნიკური შეცდომა, რის გამოც მათ მხედველობიდან გამოეპარათ აღნიშნული ტენდერი და ვერ მიიღეს მონაწილეობა. ხოლო სს „ფრანს ავტოს“ 2016 წელს არ ჰყავდა მეორე კლასის მსუბუქი ავტომობილი.

ტენდერი SPA170004550

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მოცემულ ტენდერში მონაწილეობა შეეძლო ჰიუნდაი აქცენტით, თუმცა მას არ გააჩნდა ე.წ. ქრაშ ტესტი. შპს „ჯი-თი მოტორისის“ მონაცემებით, მათ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ფორდ ფიესტათი, მოთხოვნილი იყო რუხი ავტომობილები, რაც ადგილზე არ ჰყავდათ და 5 დღეში მათი მიწოდება კომპანიისათვის შეუძლებელი იყო. ამასთან ტენდერი იყო ჩანაცვლების პირობით, რაც ასევე არ იყო მომგებიანი კომპანიისათვის. რაც შეეხება შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ ხელთ არსებულ მოდელებს, ტენდერისათვის გამოსადეგი იყო კია რიო, რომელიც კომპანიას ადგილზე არ ჰყავდა, 5 სამუშაო დღე კი არ იყო საკმარისი ვადა მისი ჩამოყვანისათვის.

ტენდერი SPA170008212

მოცემული ტენდერი გამოცხადებული იყო ექვსი (6) ავტომობილის ჩანაცვლების პირობით, საიდანაც ოთხ (4) ავტომობილზე ექსპერტის დასკვნაში არ ჩანდა გარბენი, შესაბამისად, შპს „სტრადა მოტორსისთვის“ ფინანსურად არ იყო აღნიშნული ტენდერი მომგებიანი. იმავე მიზეზით არ მიიღო მონაწილეობა ტენდერში შპს „ჯი-თი მოტორსმაც“.

ტენდერი SPA170007983

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ განცხადებით, მათ მონაწილეობა არ მიიღეს ტენდერში, რადგან სატენდერო პირობები ითვალისწინებდა ავტომობილების შესაცვლელი ნაწილების მხოლოდ ერთხელ შეძენას, ხოლო შემდეგ ჯერზე შემსყიდველს უფასოდ უნდა მიეღო მომსახურება. ამიტომ არა მხოლოდ მოცემულ, არამედ მსგავსი პირობებით გამოცხადებულ არც ერთ ტენდერში კომპანია მონაწილეობას არ იღებს ფინანსური გათვლების გამო. სს „ფრანს ავტოს“ შემთხვევაში, მათ ადგილზე არ ჰყავდათ შესაბამისი ავტომობილი. შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ მონაწილეობის მიღება ტენდერში შეეძლო კია რიოს სედანის მოდელით, თუმცა მიწოდების ვადა იყო მცირე, კერძოდ 30 დღე, ხოლო ადგილზე არსებული კია რიოები წარმოადგენდა ჰეჩბექს.

ქვემოთ განხილულია ის ტენდერები, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ერთზე მეტი პრეტენდენტი:

ტენდერები SPA160010631 და SPA160015346

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს სს „ფრანს ავტომ“, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“ და შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“. გაიმარჯვა სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“. შპს „ჯი-თი მოტორსის“ განმარტებით, მათ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ფორდ ფიესტათი, თუმცა მოთხოვნილი იყო რუხი ფერის ავტომობილი, აღნიშნული ფერი ადგილზე არ ჰყავდათ, მიწოდების ვადად კი განსაზღვრული იყო 3 სამუშაო დღე. იგივე არგუმენტი აქვს შპს „ჯი-თი მოტორსს“ SPA160015346 ტენდერთან მიმართებით, სადაც მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „კია მოტორს ჯორჯია“, გაიმარჯვა შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“. ამ შემთხვევაშიც მითითებული ფერი არ იყო ადგილზე, ხოლო მიწოდების ვადა იყო მხოლოდ 5 სამუშაო დღე.

ტენდერები SPA170008332 და SPA160014795

ტენდერში SPA160014795 მონაწილეობა მიიღეს სს „ფრანს ავტომ“ და შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“, ხოლო გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. შპს „ჯი-თი“ მოტორსის“ განმარტებით, მათ არ მიიღეს მონაწილეობა, რადგან ტენდერი იყო ჩანაცვლების პირობით და არ შეესაბამებოდა მათ კომერციულ ინტერესს. SPA170008332 ტენდერში შპს „სტრადა მოტორსმა“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან შესაბამის მოდელებს არ ქონდათ ე.წ ქრაშ ტესტი, ასევე ავტომობილების თვითღირებულება იყო მაღალი. რაც შეეხება შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი SPA170006364

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ და სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“, გაიმარჯვა სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“. შპს „ჯი-თი მოტორსის“ განცხადებით, მათ მოცემულ რიგში არც ფორდის და არც სუზუკის მარკის შესაბამისი ავტომობილი არ ჰყავდათ. აღნიშნულ ტენდერში სს „ფრანს ავტომ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან დასახელებული ტექნიკური მახასიათებლების ავტომობილი საერთოდ არ ჰყავთ სამოდელო რიგში. რაც შეეხება შპს „სტრადა მოტორსს“, მან ვერ მიიღო მონაწილეობა, რადგან ტენდერის მოთხოვნებთან ყველაზე ახლოს მდგომი ავტომობილი ჯიპ ჩეროკი არ ჰყავდათ ადგილზე, ასევე იგი ვერ აკმაყოფილებდა მთელ რიგ ტექნიკურ მოთხოვნებს (სამი რეჟიმის არჩევა, წვა). ასევე აღნიშნული მოდელის წვის მაჩვენებელი 100 კმ-ზე არის 11 ლიტრი, ხოლო მოთხოვნილი იყო არა მეტეს 10 ლიტრისა.

ტენდერი SPA170007453

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „სენა მოტორსი“, გაიმარჯვა სს „ფრანს ავტომ“. შპს „ჯი-თი მოტორსის“ განცხადებით მათ მონაწილეობის მიღება შეეძლოთ სუზუკი ვიტარას მოდელით, რომელიც იყო ბენზინის ძრავზე, ხოლო მოთხოვნილი იყო დიზელის ძრავის მქონე ავტომობილი, მიწოდების ვადად კი განსაზღვრული იყო 5 სამუშაო დღე. ხოლო შპს „სტრადა მოტორსის“ ინფორმაციით, მათი ავტომობილის ჯიპ რენეგადის თვითღირებულებაც კი მეტი იყო გამოცხადებულ ფასზე. რაც შეეხება შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი SPA160013579

აღნიშნულ ტენდერში ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ შპს „ჯი-თი მოტორსი“, შპს „სტრადა მოტორსი“ და შპს „პროსპერ ლიმიტედი“, გაიმარჯვა შპს „სტრადა მოტორსმა“. სს „ფრანს ავტოს“ განმარტებით, მათი შესაბამისი მოდელი ფასით ვერ გაუწევდა კონკურენციას სხვა მოდელებს, რადგან მათზე ძვირადღირებულია. ამავე ტენდერში სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებელს, კერძოდ უკანა სალონის სიგრძეს, 20 მილიმეტრით ვერ აკმაყოფილებდა ჰიუნდაი 350.

ტენდერი SPA170010984

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ შპს „ჯი-თი მოტორსი“ და შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“, გაიმარჯვა შპს „ჯი-თი მოტორსმა“. სს „ფრანს ავტომ“ ტენდერში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან იმ ეტაპზე შესაბამისი კლასის ავტომობილი არ ჰყავდა (რენო მეგანი), თუმცა ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ძვირია მის კლასში არსებულ ავტომობილებთან შედარებით.

ამიტომ, სს „ფრანს ავტო“ კონკრეტული ავტომობილის ადგილზე ყოლის შემთხვევაშიც, დიდი ალბათობით არ მიიღებდა ტენდერში მონაწილეობას.

ტენდერი SPA160026864

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“ ხოლო გაიმარჯვა სს „ფრანს ავტომ“. შპს „სტრადა მოტორსმა“ კი მონაწილეობა ვერ მიიღო ტექნიკური მახასიათებლისა (წვა მათ ავტომობილს ქონდა 10 ლ, ხოლო მოთხოვნილი იყო არაუმეტეს 9.3 ლ) და ავტომობილის მაღალი თვითღირებულების გამო. რაც შეეხება შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი SPA160030078

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. შპს „სტრადა მოტორსმა“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან მათ შესაბამის მოდელებს არ ქონდათ ე.წ. ქრაშ ტესტი და ამავდროულად მოდელების თვითღირებულებაც იყო მაღალი.

ტენდერი SPA170010113

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა სს „ფრანს ავტომ“. შპს „სტრადა მოტორსმა“ მონაწილეობა ვერ მიიღო შესაბამისი ავტომობილის - ჯიპ რენეგადის მაღალი თვითღირებულების გამო. რაც შეეხება შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი NAT170010480

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა, ხოლო შპს „სტრადამ მოტორსმა“ მონაწილეობა არ მიიღო შესაბამისი ავტომობილის, ჯიპ რენეგადის მაღალი თვითღირებულების გამო.

ტენდერი SPA170006547

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. შპს „სტრადა მოტორსმა“ მონაწილეობა ვერ მიიღო შესაბამისი ავტომობილის, ჯიპ რენეგადის მაღალი თვითღირებულების გამო. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ კი მონაწილეობა ვერ მიიღო აღნიშნულ ტენდერში რადგან, მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი NAT170005016

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა შპს „ჯი-თი მოტორსმა“. შპს „სტრადა მოტორსმა“ მონაწილეობა ვერ მიიღო შესაბამისი ავტომობილის, ჯიპ რენეგადის მაღალი თვითღირებულების გამო. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ კი მონაწილეობა ვერ მიიღო აღნიშნულ ტენდერში რადგან, მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი SPA160011549

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „ჯი-თი მოტრსმა“ და შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსმა“, გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან ადგილზე არ ჰყავდათ შესაბამისი მოდელი, ხოლო მიწოდების ვადა იყო 30 დღე და ვერ მოახერხებდნენ ამ პერიოდში ჩამოყვანას.

ტენდერი SPA160012398

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“ და სს „ფრანს ავტომ“, გაიმარჯვა სს „ფრანს ავტომ“. ხოლო შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან შესაბამის კლასში (მე-3 კლასი) არ ჰყავდა სედანის ტიპის ავტომობილი.

ტენდერი SPA170010276

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან ადგილზე არ ჰყავდათ შესაბამისი ავტომობილი, ხოლო მიწოდების ვადაში (30 დღე) ვერ ეტეოდნენ.

ტენდერი NAT170008063

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა შპს „ჯი-თი მოტორსმა“. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი NAT170008068

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ მონაწილეობა ვერ მიიღო,

რადგან მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

ტენდერი NAT170008064

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდნენ სს „ფრანს ავტო“ და შპს „ჯი-თი მოტორსი“, ხოლო გაიმარჯვა შპს „ჯი-თი მოტორსმა“. შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“ მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან მას არ ჰყავდა ავტომობილი შესაბამის კლასში (მე-3 კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი).

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 30 მაისს სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტების სხდომაზე მომჩივანი არ დაეთანხმა მოპასუხეთა პოზიციებს ზემოთ მოყვანილი განმარტებების ჭრილში და მიუთითა ორ ძირითად საწინააღმდეგო არგუმენტზე, კერძოდ:

1. უმეტეს შემთხვევაში, რამდენიმე მილიმეტრიანი სხვაობა ავტომობილის სიგრძეში არ წარმოადგენს რეალურ პრობლემას და თუ კომპანიას სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება, მას საშუალება აქვს ,,დააგრძელოს“ ან სიმაღლე გაუზარდოს ავტომობილს, რისთვისაც შეუძლია შესაბამის კომპანიებს დაუკვეთოს ე.წ. გადაკეთების სამუშაო.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიებს ადგილზე არ ჰყავთ ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ხოლო მიწოდების ვადა მცირეა, შეუძლიათ გაასაჩივრონ ტენდერების აღნიშნული პირობა, ხოლო შესყიდვების სააგენტოს პრაქტიკა უჩვენებს, რომ ამგვარი საჩივრები კმაყოფილდება.

რაც შეეხება პირველ არგუმენტს - ავტომობილების გადაკეთებასთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ მას არ გააჩნია კომპეტენცია, ავტომობილის გადაკეთების მიზანშეწონილობისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებისათვის. ამავდროულად, მიიჩნევს, რომ ამ მხრივ დამატებითი ხარჯების გაღების მიზანშეწონილობისა და დროითი რესურსის კვლევა თითოეული ტენდერისათვის ცალ-ცალკე, არ იქნება რელევანტური რეალური პრობლემის გადასაჭრელად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შესაბამისად, საკითხის შეფასებისას მოკვლევის ჯგუფმა იხელმძღვანელა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ გამოცხადებული ოფიციალური მონაცემებით, რომლითაც ასევე ხელმძღვანელობენ შემსყიდველი ორგანიზაციები მიწოდებული საქონლის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას. ამ შემთხვევაში, სააგენტომ გაიზიარა ერთ-ერთი მოპასუხის, შპს ,,სტრადა მოტორსის“ მითითება (2018 წლის 14 ივნისის წერილი), სადაც კომპანია მიუთითებს, რომ ავტოინდუსტრიაში დამკვიდრებულია ავტომობილის ქარხნული მონაცემების გამოყენება მათი კლასიფიკაციის, შედარების და შეფასებისათვის. დავების საბჭოც და შემსყიდველი ორგანიზაციებიც სწორედ ამ მონაცემებს ეყრდნობიან.

მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მეორე არგუმენტი ეხებოდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოუყენებლობას მოპასუხე კომპანიების მხრიდან. მომჩივანი მიიჩნევს, რომ სამართლებრივი ბრძოლისგან თავშეკავება ისეთ ტენდერებთან მიმართებით, რომელიც ერთი მხრივ ფინანსურად ხელსაყრელია, მეორე მხრივ კი მორგებულია ერთ ეკონომიკურ აგენტს, წარმოადგენს ირიბ მტკიცებულებას კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დადასტურებისათვის. სააგენტომ თუნდაც რომ გაიზიაროს აღნიშნული მოსაზრება, აუცილებელია მისი გაზიარება იმ დათქმით, რომ ტენდერის მორგება ერთ ეკონომიკურ აგენტზე შესაძლებელია ჩაითვალოს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად. სააგენტო მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს, სატენდერო პირობები ეწინააღმდეგება თუ არა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობას (კანონის მე-10 მუხლი), ან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში არსებულ კონკურენტული ბაზრის პრინციპების გარანტორ ნორმას („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი), საჭიროა შესწავლილ იქნას, ერთი მხრივ, შეეძლო თუ არა ტენდერში მონაწილეობა ერთზე მეტ ეკონომიკურ აგენტს და მეორე მხრივ, იყო თუ არა ყველა მოთხოვნილი პირობა აუცილებელი და პროპორციული იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც გააჩნდა შემსყიდველს, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი სატენდერო პირობა წარმოადგენს დამატებით ბარიერს შესაბამის ბაზარზე (ტენდერში) შესვლისათვის.

ხაზგასასმელია, რომ სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენება კომპანიების უფლებაა და არა ვალდებულება. ამავდროულად, მოპასუხეთა ნაწილს სადავო პერიოდში ნამდვილად აქვს გასაჩივრებული ზოგიერთი ტენდერი, მათ შორის ისეთები, სადაც გამარჯვებულ ან მონაწილე კომპანიას წარმოადგენდა სხვა მოპასუხე, რომელთან დადებული შეთანხმების არსებობის საკითხსაც იკვლევს სააგენტო.

კერძოდ, ტენდერში SPA170007912 მოხდა შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ დისკვალიფიკაცია, მასში მონაწილეობდა შპს ,,სტრადა მოტორსიც“, შპს ,,ჯი-თი მოტორსმა“ გაასაჩივრა იგი და საბოლოოდ ტენდერი შეწყდა. ასევე ტენდერი SPA170007913, სადაც ერთდროულად მონაწილეობდნენ შპს ,,ჯი-თი მოტორსი“, სს ,,ფრანს ავტო“ და შპს ,,სტრადა მოტორსი“, გასაჩივრებულ იქნა შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ მიერ. იგივე შეიძლება ითქვას ტენდერზე SPA140008721, რომელშიც გაიმარჯვა შპს ,,ჯი-თი მოტორსმა“ და გაასაჩივრა სს ,,ფრანს ავტომ“. ასევე ტენდერი SPA170002803, რომელშიც ხელშეკრულება დაიდო შპს ,,ჯი-თი მოტორსთან“, გაასაჩივრა შპს ,,სტრადა მოტორსმა“. სააგენტოს არ აქვს სამართლებრივი ან სხვა სახის საფუძველი იმისათვის, რომ აღნიშნული საჩივრები მიიჩნიოს ფიქციად, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეთა ნაწილი მაინც გარკვეულ შემთხვევებში მიმართავს ამ სამართლებრივ მექანიზმს, სააგენტოს კომპეტენცია კი არ ვრცელდება იმ საკითხზე, უნდა გამოეყენებინათ თუ არა იგი კომპანიებს სხვა შემთხვევებშიც.

უდავოა, რომ დავების საბჭოს მეშვეობით სატენდერო პირობების გასაჩივრება შეუძლია ნებისმიერ პირს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც არ მონაწილეობდა ტენდერში, შესაბამისად, ტენდერის პირობების გასაჩივრება იმავე წარმატებით შეეძლო მომჩივანს, ან ბაზრის სხვა მონაწილეებსაც, თუმცა ის, რომ ჩამოთვლილი ტენდერების უმეტესობა მომჩივანს ან ბაზრის

სხვა (მოპასუხეებისგან განსხვავებულ) მონაწილეებს არ გაუსაჩივრებიათ დავების საბჭოში, არ მეტყველებს მათ მონაწილეობაზე კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს, მაგალითად, შპს ,,იბერია ავტოს“ წლების განმავლობაში, დღემდე არასდროს გამოუყენებია დავების საბჭოში რომელიმე ტენდერის გასაჩივრების მექანიზმი. სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ 2017 წელს გასაჩივრებული აქვს ორი ტენდერი, სადაც მხოლოდ თვითონ მონაწილეობდა, ხოლო ამავე წელს შპს ,,სტრადა მოტორსმა“ გაასაჩივრა სამი ტენდერი.

ამავე საკითხზე შპს ,,სტრადა მოტორსის“ 2018 წლის 14 ივნისის წერილში, მითითებულია, რომ კომპანიას ,,ყოველ ჯერზე ამ მიმართულებით რესურსის ხარჯვა გამართლებულად არ მიაჩნია“. კერძოდ, წერილში აღნიშნულია, რომ 2012 წლიდან 2017 წლის ჩათვლით კომპანიამ სულ 8 ტენდერი გაასაჩივრა და აქედან მხოლოდ 2 დაკმაყოფილდა. ხოლო კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით ისინი მონაწილეობენ შესყიდვების პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფისკენ მიმართულ პროცესებში და აწვდიან მოსაზრებებს შესყიდვების სააგენტოს. მსგავს პოზიციას აფიქსირებს შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ საკუთარ კორესპონდენციაში. კომპანიის პოზიციით, ,,არც ერთი სამართლებრივი აქტი პირდაპირ არ კრძალავს ვადების და სპეციფიკაციების იმ ფორმით მითითებას, როგორც ეს ხდება შესაბამის ტენდერებში, შესაბამისად, შესყიდვების სააგენტოს არ ექნებოდა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი“. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია მიჩნევს, რომ ზოგადად, ტენდერებში მიწოდების ვადების გახანგრძლივება საჭირო და დადებითი პროცესია. სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ წარმომადგენელმა კი მიუთითა, რომ ,,რაც შეეხება დავების საბჭოს, ზოგადად, კარგად ჟღერს დავების საბჭოს მიერ საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტი, მაგრამ აღნიშნული ნაკლებად არის კონკრეტული შედეგის მომტანი.“

აღნიშნულ კომენტარებთან მიმართებით, სააგენტო მიუთითებს, რომ 2018 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში შესული ცვლილებების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილია კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელიც, რაც კონკურენციის სააგენტოს აძლევს საშუალებას, დავების საბჭოს ფორმატში შეუწყოს ხელი კონკურენციის პრინციპების დაცვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ მომჩივანის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, მოპასუხეთა მხრიდან გარკვეული ტენდერების სატენდერო პირობების გასაჩივრებისგან თავშეკავების შესახებ, ვერ იქნება განხილული, როგორც მოპასუხეთა შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სააგენტო აქვე ყურადღებას ამახვილებს ორ ტენდერზე SPA160017648, NAT170004524 რომელთაგან ერთში მონაწილეობა შეეძლო მაგრამ არ მიუღია სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველოს“, ხოლო მეორეში სს ,,ფრანს ავტოს“. ერთ შემთხვევაში, კომპანია ვერანაირ ახსნას ვერ უძებნის აღნიშნულს, გარდა იმისა, რომ მათ გამორჩათ აღნიშნული ტენდერი, ხოლო მეორე შემთხვევაში კომპანიამ მიზეზად დაასახელა სახელმწიფო შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის ავადმყოფობა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე

შემთხვევაში საკითხი ეხებოდა მხოლოდ ერთი ავტომობილის შესყიდვას, რაც ზოგადი ტენდენციის, ან კომპანიების პოლიტიკის ანალიზის კუთხით რაიმე სახის არსებით სურათს არ იძლევა.

მომჩივანმა სააგენტოში 2018 წლის 30 მაისს გამართულ შეხვედრაზე ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ სს ,,ფრანს ავტო" არასწორად აპელირებდა ევროს კურსის ცვალებადობაზე ახსნა-განმარტების სხდომაზე. სააგენტო ადასტურებს, რომ იმავე პერიოდში კომპანიას მიღებული აქვს მონაწილეობა სხვა ტენდერებში, იმავე ან უფრო დაბალ ფასში. მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტო ვერც დაადასტურებს და ვერ უარყოფს აღნიშნული ეკონომიკური აგენტების მიერ მოყვანილ დანარჩენ გარემოებებს. ფაქტია, რომ არსებობს იმის ალბათობა, რომ ადგილი ჰქონოდა გარკვეულ ადამიანურ ფაქტორს, კერძოდ შეცდომას, დავიწყებას, ავადმყოფობას და ა.შ. მხარე მიუთითებს, რომ ტენდერში მონაწილეობა ვერ მიიღო უფლებამოსილი პირის ავადმყოფობის მიზეზით. ვინაიდან კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებაში ეკონომიკური აგენტის მონაწილეობის მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში სააგენტოსა და მომჩივანის მხარეზეა, ხოლო არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებს კომპანიის მიერ მოყვანილ არგუმენტაციას, სააგენტო ვერ დაადასტურებს შეთანხმებაში მონაწილეობას, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ორი კომპანიის შემთხვევაში, თითოჯერ, შესაბამისად, შეუძლებელია ამ შემთხვევების განხილვა მთლიან, ზოგად კონტექსტში, ვინაიდან აქ არ იკვეთება რაიმე მსგავსი ტენდენცია. შესაბამისად, ზოგადად ტენდერების გადანაწილებასა და გარკვეული კატეგორიის ტენდერებში მონაწილეობისგან თავშეკავებაზე გენერალური შეთანხმების არსებობის შემოწმების ჭრილში აღნიშნული ფაქტები არ წარმოადგენს დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას, ხოლო უშუალოდ კონკრეტულ ტენდერში არსებულ შეთანხმებასთან მიმართებით, როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობს დამატებითი პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულებები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა კორესპონდენცია (01/523 07.06.2018), სადაც დამატებით მიუთითა რამდენიმე არგუმენტი. კერძოდ, შპს ,,იბერია ავტოსთან" მიმართებით, ამ უკანასკნელი კომპანიის მიერ დასახელებული არგუმენტის საწინააღმდეგოდ (5 წლიანი გარანტიის არქონასთან დაკავშირებით), მომჩივანმა მიუთითა SPA170007981 ტენდერზე, სადაც მოთხოვნილი იყო 5 წლიანი გარანტია, თუმცა მოპასუხემ მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ 2018 წლის 19 ივნისის კორესპონდენციაში მიუთითა, რომ ვინაიდან ხსენებული ტენდერი გამოცხადებული იყო 7 ერთეულ ავტომობილზე, კომპანიამ ერთჯერადად გაზარდა შეთავაზებული საგარანტიო ვადა, ვინაიდან ტენდერი მიიჩნია კომერციულად მომგებიანად. სააგენტო მიუთითებს, რომ ეს კომპანიის უფლებაა. ამავდროულად, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, განსახილველ ტენდერებში, სადაც შპს ,,იბერია ავტოს" მონაწილეობა არ მიუღია, კერძოდ, SPA160012273, SPA160002428, SPA160003370 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა თითო-თითო ავტომობილი, ხოლო ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავების მიზეზად კომპანიამ საგარანტიო ვადასთან ერთად, ყველა შემთხვევაში მიუთითა დამატებით არგუმენტები. ამ შემთხვევაში სააგენტოსთვის განმსაზღვრელი

აღმოჩნდა ფასთან (თვითღირებულება) და ავტომობილის ტექნიკურ მონაცემებთან (სიგრძე) დაკავშირებული არგუმენტები, ხოლო საგარანტიო ვადასთან დაკავშირებული არგუმენტი მეორეხარისხოვნად მიიჩნია.

შუალედური დასკვნა: სააგენტოს ხელთარსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვერ დგინდება მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა შორის კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც გამოიხატება მოპასუხე კომპანიების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისგან განზრახ თავშეკავებაში.

4.2. მოჩვენებითი კონკურენცია

მომჩივანი ეკონომიკური აგენტი ასევე მიუთითებდა იმ სახელმწიფო ტენდერებზეც, სადაც მართალია, ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი მონაწილეობდა, თუმცა მისი აზრით, ამ შემთხვევებში კონკურენცია მოჩვენებითი იყო და კომპანიები არ იყენებდნენ სრულად კონკურენტულ უპირატესობას ფასში. აღნიშნული ქმედება ასევე წარმოადგენს ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით აკრძალულ დარღვევას.

სააგენტომ შეისწავლა კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტისა და რეალიზაციის შესახებ, ასევე ავტომობილების თვითღირებულება და ასეთ ტენდერებში დაფიქსირებული მინიმალური ფასი კომპანიების მხრიდან. დაფიქსირებული მინიმალური ფასი შედარებულ იქნა, ერთი მხრივ, ავტომობილის თვითღირებულებასთან, მეორე მხრივ კი მისი შემდგომი რეალიზაციის გზით მიღებულ შემოსავალთან. ამით კონკურენციის სააგენტოს სურდა გადაემოწმებინა, ერთი მხრივ, იწვევდა თუ არა წაგებას (თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვას) კომპანიისთვის ფასისმიერ კონკურენციაში ბოლომდე გაყოლა და მეორე მხრივ, საბოლოოდ წამგებიანი აღმოჩნდა თუ არა კომპანიისთვის აღნიშნული ქმედება იმის გათვალისწინებით, რომ მომავალშიც უფრო ძვირად ვერ მოახერხა აღნიშნული ავტომობილის რეალიზება.

ამ კუთხით შეფასებისას სააგენტოს მსჯელობის პირველ ეტაპზე მხედველობაში არ მიუღია ის ტენდერები, სადაც გამარჯვებული კომპანია არ ყოფილა რომელიმე მოპასუხე, ვინაიდან, მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს შორის შეთანხმების მიზანი მათ მიერ სარგებლის მიღება უნდა იყოს, ამ შემთხვევაში კი სარგებელს, ანუ ტენდერში გამარჯვებას სრულიად სხვა კომპანია იღებს, რომლის შეთანხმებაში მონაწილეობას სააგენტო მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში არ განიხილავს.

აქვე აღსანიშნავია, რომ შემაჯამებელ სხდომაზე მომჩივანი კომპანიის მიერ გამოთქმული პოზიციის გათვალისწინებით, სააგენტომ დამატებით იმსჯელა იმ ტენდერებთან მიმართებით, სადაც მოპასუხეებისგან განსხვავებულმა კომპანიებმა გაიმარჯვეს. ასეთი ტენდერები, სადაც ერთზე მეტი პრეტენდენტი მონაწილეობდა, თუმცა არ გაუმარჯვია არც

ერთ მოპასუხეს, იყო სულ 17 ტენდერი. კერძოდ, SPA160008645 , SPA160009054 , SPA170001899, SPA160029377 ,NAT160003154 , SPA170001613, NAT170005246, NAT170002408, SPA170004760, NAT170003873, SPA170007587, DEP170000032, NAT170008147, SPA170011978, SPA170012370, SPA160013429, SPA170010484.

აღნიშნული ტენდერებიდან სააგენტომ ცალ-ცალკე გამოყო NAT და SPA ტიპის ტენდერები. რაც შეეხება 11 SPA ტენდერს, მათგან 2-ში, კერძოდ, SPA160008645, SPA170001899 არ მონაწილეობდა არც ერთი მოპასუხე, ხოლო 5-ში კერძოდ, SPA160009054, SPA170007587, SPA170011978, SPA170010484, SPA170012370 მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მოპასუხე. ვინაიდან მოპასუხეებს შორის ფასზე შეთანხმების დასადასტურებლად თეორიულად საჭიროა მინიმუმ ორი პირი, სააგენტომ მიიჩნია, რომ ასეთ ტენდერებში კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას მოპასუხეებს შორის თეორიულადაც ვერ ექნებოდა ადგილი. რაც შეეხება დანარჩენი მოპასუხეების მიერ ტენდერში მონაწილეობისგან თავშეკავების მიზეზებს, აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტომ იმსჯელა დასკვნის 4.1 თავში და მიიჩნია, რომ ეს არ იყო გამოწვეული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობით.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ტენდერს, SPA160029377, SPA170001613, SPA170004760, SPA160013429, ისინი მოკვლევის ჯგუფმა ცალკე სამსჯელოდ გამოყო.

SPA160029377 ტენდერი გამოცხადებული იყო შპს ,,გარდაბნის თბოსადგური 2"-ის მიერ 2016 წლის დეკემბერში და მიზნად ისახავდა 1 ცალი პიკაპის ტიპის ავტომობილის შეძენას. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომპანიამ, მათ შორის იყო შპს ,,სტრადა მოტორსი" და შპს ,,ჯი-თი მოტორსი". პირველი კომპანიის საბოლოო შეთავაზება იყო 72 797 ლარი, ხოლო მეორისა - 69 631 ლარი. თეორიულად, თუ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხეებს შორის წინასწარ შეთანხმებულ თავშეკავებას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შპს ,,სტრადა მოტორსმა" შეგნებულად არ განახორციელა ფასდაკლება შპს ,,ჯი-თი მოტორსთან" შედარებით დიდი ოდენობით. სააგენტომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პიკაპის ტიპის ავტომობილებში შპს ,,სტრადა მოტორსს" გააჩნია Fiat Fullback. აღნიშნული მოდელის სრული საექსპლუატაციო თვითღირებულება ტენდერის გამოცხადების დროისთვის შეადგენდა [redacted] (საწვავი)+[redacted] (საგარანტიო)= [redacted] ლარს. თუ კომპანია გადაწყვეტდა, მინიმუმ 6%-იანი ფასნამატით შესვლას აღნიშნულ ტენდერში, იგი ვერ დააფიქსირებდა შპს ,,ჯი-თი მოტორსზე უკეთეს ფასს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილეობას იღებდა დამატებით ორი კომპანია, შპს ,,კავკასუს მოტორსი" და შპს ,,მათემოტორსი", რომლებმაც ერთი მხრივ ვაჭრობის ძირითად ეტაპზე მოიპოვეს უპირატესობა, მეორე მხრივ კი შპს ,,ჯი-თი მოტორსზე" უფრო დაბალი ფასიც დააფიქსირეს. შესაბამისად, შპს ,,სტრადა მოტორსი", როგორც პრეტენდენტი, რომელსაც პირველს უნდა შეეთავაზებინა ფასი, წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, შესაბამისად, ლოგიკურადვე გავიდა ბოლო ადგილზე საფასო მაჩვენებლების მხრივ. ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ შპს ,,სტრადა მოტორსმა" წინასწარი შეთანხმების საფუძველზე კონკურენციისგან თავი შეიკავა შპს ,,ჯი-თი მოტორსის" სასარგებლოდ, ლოგიკურია, ვივარაუდოთ ისიც, რომ ამ უკანასკნელს უნდა გამოეყენებინა ეს დათმობა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ტენდერის მონაცემებიდან ვხედავთ, რომ შპს „ჯი-თი მოტორსს" კლება არ განუხორციელებია მისი პირველივე

შეთავაზების შემდეგ, მაშინ, როცა ჰყოფნიდა 332 ლარიანი ფასდაკლების განხორციელება, რათა ვაჭრობის ბოლო რაუნდში უპირატესობა ჰქონოდა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ხსენებულ ტენდერში შეთანხმება (მაშინაც კი, თუ ასეთი არსებობდა რომელიმე ორ პრეტენდენტს შორის), არ ყოფილა მოპასუხე კომპანიებს შორის.

რაც შეეხება ტენდერს SPA170001613, მასში ორ მოპასუხესთან ერთად მონაწილეობდა მომჩივანიც (შპს ,,სიტროენ ჯორჯია“). აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა სწორედ მომჩივანმა. აღსანიშნავია, რომ ტენდერში სულ 4 კომპანია მონაწილეობდა, ხოლო გამარჯვებულმა მინიმალური ფასი ვაჭრობის პირველივე ეტაპზე დააფიქსირა. ამავდროულად, აღნიშნული ფასი (42400 ლარი) 10%-ით ნაკლები იყო ვიდრე უახლოესი კონკურენტის - შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ შეთავაზება და კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ და შპს ,,ტოიოტა ცენტრი თბილისის“ შეთავაზებები. სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მიერ შეთავაზებული ჰიუნდაი ელანტრას თვითღირებულება შეადგენდა [redacted] აშშ დოლარი [redacted] ლარი (საგარანტიო)+[redacted] ლარი(საწვავი), რაც 2017 წლის 24-31 იანვრის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსის გათვალისწინებით, შეადგენს მინიმუმ [redacted] ლარს (დოლარის კურსი 2,6868; 24.01.2017). შესაბამისად, სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო“ იმთავითვე მოკლებული იყო შესაძლებლობას, თვითღირებულებაზე დაბალ ფასში კონკურენცია გაეწია შპს ,,ჯი-თი მოტორსისათვის“.

ტენდერში SPA170004760 მონაწილეობდნენ შპს ,,სტრადა მოტორსი“, შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ და შპს ,,კავკასუს მოტორსი“. აღნიშნულ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი ვაჭრობის პირველ დამატებით რაუნდში დააფიქსირა შპს ,,ჯი-თი მოტორსმა“ 61 000 ლარის ოდენობით, რასაც კონკურენცია არ გაუწია შპს ,,სტრადა მოტორსმა“. აღნიშნულ ტენდერში შპს ,,სტრადა მოტორსის“ შეთავაზება გულისხმობდა პიკაპის, Fiat Fullback-ის მიწოდებას. აღნიშნული ავტომობილის თვითღირებულება ტენდერის გამოცხადების პერიოდში შეადგენდა [redacted] + [redacted] (საწვავი)+[redacted] (საგარანტიო) = [redacted] ლარს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული კომპანია თავისი შესაძლებლობების ზღვარზე იყო შესული ტენდერში და შესაბამისად, დამატებით ფასდაკლებას ვერ განახორციელებდა.

რაც შეეხება ტენდერს SPA160013429, რომელიც საქართველოს ფოსტამ გამოაცხადა და რომელშიც ასევე გაიმარჯვა მომჩივანმა - მასში მონაწილეობდნენ შპს ,,კია მოტორს ჯორჯია“, შპს ,,ჯი-თი მოტორს“ და შპს ,,სიტროენ ჯორჯია“. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 10 ერთეული მე-4 კლასის ავტომობილი, ხოლო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო 29 221 ლარი ერთ ავტომობილზე. შპს ,,სიტროენ ჯორჯიამ“ ვაჭრობის ძირითად ეტაპზევე მოიპოვა უპირატესობა, რაც შეინარჩუნა კიდეც ვაჭრობის ბოლომდე და მიუხედავად იმისა, რომ შპს ,,კია მოტორს ჯორჯიამ“ მნიშვნელოვანი საფასო კონკურენცია გაუწია (თითქმის 10%), სიტროენმა მაინც მოიგო ტენდერი. რაც შეეხება შპს „ჯი-თი მოტორსს“, მას ვაჭრობის ძირითადი ეტაპის შემდეგ აღარ განუხორციელებია ფასის კლება. აღნიშნული კომპანია ტენდერში მონაწილეობას იღებდა Ford Fiesta Ambiente-თი. ამ ავტომობილის თვითღირებულება შეადგენდა [redacted]+[redacted] (საგარანტიო)+[redacted] (საწვავი) = [redacted] ლარს. შესაბამისად, პირველად დაფიქსირებულ ფასთან შედარებით კომპანიას შეეძლო განეხორციელებინა კლება დამატებით 175 ლარით ერთ ერთეულზე. ვინაიდან შპს ,,კია

მოტორს ჯორჯიამ“ პირველივე დამატებით რაუნდში განახორციელა კლება და დააფიქსირა ფასი 28 928 ლარის ოდენობით ერთეულ ავტომობილზე, შპს ,,ჯი-თი მოტორსისთვის“ შეუძლებელი გახდა შემდგომი ფასდაკლების განხორციელება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი SPA ტენდერებისა, აღნიშნული 17 ტენდერიდან 5 წარმოადგენდა NAT ტიპის ტენდერს, კერძოდ, NAT160003154, NAT170005246, NAT170002408, NAT170003873, NAT170008147. ამავდროულად, ერთი ტენდერი იყო შესყიდვა დონორის სახსრებით (DEP170000032), რომელიც ტარდება ასევე ერთ ეტაპად, როგორც NAT ტენდერი. აღნიშნულ ტენდერები სააგენტომ განიხილა დამატებით 13 NAT ტენდერთან ერთად, რომელშიც გამარჯვებულ კომპანიას წარმოადგენდა რომელიმე მოპასუხე ეკონომიკური აგენტი. მოკვლევის ჯგუფი მიუთითებს, რომ NAT ტენდერებში ფასი კომპანიის მიერ მხოლოდ ერთხელ ფიქსირდება და იგი საბოლოოა. ასეთ ტენდერებში შეთანხმების დადასტურებისთვის სააგენტოს აუცილებლად სჭირდება პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს შეთანხმებას ეკონომიკურ აგენტებს შორის, ვინაიდან მხოლოდ ფასის ანალიზით ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მტკიცების აუცილებელი მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე. ამგვარ ტენდერებში ასევე არარელევანტური იქნება მსჯელობა იმის თაობაზე, იყო თუ არა კომპანიის მიერ დაფიქსირებული ფასი ის მინიმუმი, რომლის დაფიქსირებაც მას შეეძლო, იმდენად, რამდენადაც კომპანია, როგორც წესი, ორიენტირებულია საკუთარი მოგების მაქსიმიზაციაზე. შესაბამისად, იგი ერთი მხრივ ცდილობს, რომ დააფიქსიროს დაბალი ფასი ტენდერში, რათა გაიმარჯვოს, თუმცა, მეორე მხრივ, იგი ორიენტირებულია იმაზეც, რომ ტენდერში გამარჯვება მინიმალური დანაკარგით (მოგების შემცირება) მოიპოვოს. შესაბამისად, ამგვარ ტენდერებში კომპანიას უწევს იმსჯელოს იმაზე, თუ ვინ არის მისი კონკურენტი კონკრეტულ საქონელთან მიმართებით და რა შეიძლება იყოს კონკურენტის ფასი. შესაბამისად, თითქმის ყველა შემთხვევაში, კომპანია აფიქსირებს ფასს, რომელიც მისი აზრით საუკეთესოა, იმ ორი რისკის დაბალანსების ჭრილში, რომელთაგან პირველი მოგების შემცირებას, მეორე კი ტენდერში დამარცხებას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, განსაზღვროს, სწორად გასწია თუ არა კომპანიამ ეს რისკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და თუნდაც, იმ შემთხვევაშიც თუ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული რისკი არ იყო ოპტიმალურად დათვლილი, მხოლოდ დაფიქსირებული ფასი ვერ იქნება ის არგუმენტი, რომლითაც სააგენტოს შეუძლია კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობის დადასტურება.

გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს არ განუხილავს ისეთი ტენდერებიც, სადაც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მოპასუხე ეკონომიკური აგენტი სხვა კონკურენტთან ერთად და გაიმარჯვა მოპასუხემ, კერძოდ, SPA160011549, MEP170000035, SPA170007453, SPA170009134 და SPA170010984, ვინაიდან ასეთ ტენდერებში შედეგზე შეთანხმება თეორიულად ვერ მოხდებოდა მოპასუხეებს შორის, რადგან მოპასუხეთა რაოდენობა ასეთ ტენდერებში ორზე ნაკლებია.

შესაბამისად, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა დარჩენილ 25 ტენდერზე, კერძოდ, SPA160005454, SPA160010631, SPA160012312, SPA160012398, SPA160013579, SPA160014795, SPA160015346, SPA160016229, SPA160023023, SPA160024372, SPA160024899, SPA160025617,

SPA160026864, SPA160030078, SPA170002803, SPA170006547, SPA170004990, SPA170006364, SPA170007199, SPA170008332, SPA170010032, SPA170010113, SPA170010276, SPA170010418 და SPA170010663 .

სააგენტომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიას დაფიქსირებული აქვს ზუსტად ერთი ლარით ნაკლები შეთავაზება, ვიდრე მის უახლოეს ,,მდევარს". ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, იწვევს ეჭვს, რომ ამგვარი დამთხვევა, შესაძლოა, შეთანხმებული იყოს. თუმცა ამ დაშვების დადასტურება პრობლემურია SPA ტენდერების ჩატარების წესის, სისტემის გამო.

კერძოდ, SPA ტენდერი ტარდება ორ ძირითად ეტაპად - პირველი, ანუ ძირითადი ეტაპი და მეორე, ანუ დამატებითი ვაჭრობის ეტაპი, რომელიც თავის მხრივ სამ დამატებით რაუნდად იყოფა. ვაჭრობის საბოლოო ფასი ფიქსირდება მესამე დამატებითი რაუნდის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ დამატებით რაუნდებში მონაწილეებისთვის ცნობილია კონკურენტის მიერ დაფიქსირებული ფასი. შესაბამისად, თუ მათთვის ხელსაყრელია კონკურენტის მიერ უკვე დაფიქსირებული ფასი, მხოლოდ ერთ ლარის დაკლებით შეუძლიათ კონკრეტული რაუნდის მოგება. შესაბამისად, კომპანიის გამარჯვების შანსი ძალიან დიდია იმ შემთხვევაში, თუ ფასს პირველი აფიქსირებს სწორედ მისი კონკურენტი. რაც შეეხება ფასის დაფიქსირების რიგითობას, იგი განისაზღვრება პირველ, ანუ ძირითად ეტაპზე, სადაც მონაწილეები ისე აფიქსირებენ ფასს, რომ არ აქვთ ინფორმაცია არც კონკურენტის მონაწილეობის შესახებ და არც კონკურენტის მიერ დაფიქსირებული ფასის შესახებ. ერთნაირი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობას იღებს ის, ვინც უფრო ადრე დააფიქსირა ფასი. შესაბამისად, დამატებით რაუნდში ფასის პირველ შეთავაზებას ახორციელებს ის კომპანია, რომელმაც უფრო გვიან დააფიქსირა ფასი, ან უფრო მაღალი ფასი დააფიქსირა ვაჭრობის ძირითად ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ განხილული 25 SPA ტენდერიდან 18-ში საუკეთესო ფასის დაფიქსირება მოახერხა სწორედ იმ კომპანიამ, რომელსაც ჰქონდა დროითი ან თანხობრივი უპირატესობა პირველ, ძირითად ეტაპზე, სადაც მონაცემები გაუმჭვირვალეა. სააგენტო მიუთითებს, რომ SPA ტენდერის პირველი (გაუმჭვირვალე) ეტაპი პრაქტიკულად, სრულად ემთხვევა NAT ტენდერის მოდელს და სააგენტოს მსჯელობა ამ ეტაპზე დაფიქსირებულ ფასებთან მიმართებით ემთხვევა NAT ტენდერებთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილ მსჯელობას. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში კომპანიებმა იციან ისიც, რომ ეს ფასი საბოლოო არ არის და კიდევ რჩება შანსი ვაჭრობისათვის, ამიტომ ამ ეტაპზე დაფიქსირებული ფასი როგორც წესი, არ არის მათი მინიმუმი, ვინაიდან ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, კონკურენტმა საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა, ან ვერ გაუწიოს შესაბამისი კონკურენცია ვაჭრობის დანარჩენ ეტაპებზე. სწორედ ამიტომ, ცდუნება იმისა, რომ შესაძლებლად მაღალი ფასი დააფიქსირონ, კომპანიებს ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმების თაობაზე პირდაპირი მტკიცებულების არსებობის გარეშე სააგენტოსთვის შეუძლებელია ამტკიცოს, რომ ადგილი ჰქონდა მონაწილე კომპანიების შეთანხმებულ ქმედებას.

რაც შეეხება დანარჩენ შვიდ ტენდერს, სადაც ფასით გაიმარჯვა ისეთმა კომპანიამ, რომელსაც არ ჰქონდა უპირატესობა პირველ, ძირითად ეტაპზე, კერძოდ, SPA160010631, SPA160025617, SPA170002803, SPA170004990, SPA170007199, SPA170010032 და SPA170010418, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა კომპანიების მიერ დაფიქსირებული შეთავაზებების თანმიმდევრობასა და ლოგიკურობაზე. ჩამოთვლილი ტენდერებში შესყიდვის ღირებულების კლება მოხდა შემდეგ პროცენტული ოდენობით:

ტენდერი	გამოცხადებული ფასი (₾)	გამარჯვებულის ფასი (₾)	კლება (%)
SPA160010631	63 100	50 700	19,6%
SPA160025617	69 300	65 125	6,02%
SPA170002803	320 000	236 000	26,25%
SPA170004990	66 921	55 900	16,46%
SPA170007199	427 000	298 350	30,1%
SPA170010032	1 007 665	934 500	7,26%
SPA170010418	536 100	518 000	3,35%

სააგენტო მიიჩნევს, რომ როდესაც კლება ხდება ორნიშნა პროცენტული მაჩვენებლით, კერძოდ 16,46%-დან 30,1%-მდე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია მტკიცება იმისა, რომ კონკურენცია მოჩვენებითია, ხოლო ფასწარმოქმნა წინასწარ შეთანხმებული, ვინაიდან კონკურენტული პროცესის ფორმალური ფიქციისთვის საკმარისი იქნებოდა 2 ან 3 %-იანი კლების დაფიქსირებაც და უკეთესი და უარესი შეთავაზებების მონაცვლეობა. შესაბამისად, ლოგიკურად, შეთანხმების მონაწილეები უარს არ იტყოდნენ იმ საკმაოდ დიდი მოცულობის თანხებზე (ზოგიერთ შემთხვევაში 84 000 ₾ და 128 650 ₾), რომელთა მიღებაც მათ შეეძლოთ. ამგვარი ქმედება არც კონკურენციის სამართლებრივ პრაქტიკაში და არც სამეცნიერო დოქტრინაში არ მიიჩნევა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ნიშნად.

რაც შეეხება ტენდერებს SPA170010418, SPA170010032 და SPA160025617, სააგენტომ კიდევ უფრო დეტალურად შეისწავლა ფასწარმოქმნის ფაქტორები ამ ტენდერებისათვის.

ტენდერი SPA170010418, სადაც მონაწილეობდნენ შპს ,,სტრადა მოტორსი“ და შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ გამოცხადებული იყო ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ სასწრაფო დახმარების 6 ერთეული სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით (9 ერთეული სასწრაფო დახმარების ავტომანქანის ჩანაცვლების გზით). შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას შეადგენდა 536 100 ლარი. ვაჭრობის პირველ, ძირითად ეტაპზე შპს ,,სტრადა მოტორსმა“ განახორციელა კლება 8100 ლარის ოდენობით, ხოლო შპს ,,ჯი-თი მოტორსმა“ შემსყიდველს შესთავაზა 523 122 ლარიანი ოფერტი. აღსანიშნავია, რომ შპს ,,ჯი-თი მოტორსს“ აღარ განუხორციელებია კლება ვაჭრობის დამატებით რაუნდებში, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მოცემული ტენდერის საწყის

ეტაპზევე იგი შევიდა საკუთარი ბიუჯეტის მინიმუმით. აღნიშნულ ტენდერთან მიმართებით მოპასუხემ წარმოადგინა პოზიცია 2018 წლის 11 ივნისის წერილით (№01/528 12.06.18), სადაც მიუთითა, რომ ფასდაკლება არ განუხორციელებია იმ მიზეზით, რომ არსებობდა შესყიდვის ზარალით დასრულების რისკი. კომპანია აღნიშნულ რისკს უკავშირებდა შემდეგ მიზეზებს: 1. საჭირო იყო ჰიუნდაის მარკის 9 ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება, რომლის შეფასებაც (განხორციელებული სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მიერ) არ იყო ზუსტი, ვინაიდან დასკვნაშივე იყო მითითებული იმის თაობაზე, რომ ფასი საორიენტაციოა. 2. კომპანიას არ გააჩნდა სპეციალური დანიშნულების ავტომობილების ჩაბარებისა და შემდგომი რეალიზაციის გამოცდილება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა რისკს 3. ჩასაბარებელი ავტომობილების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა შესყიდვის მოცულობის დიდ წილს (26%), რაც ასევე ზრდიდა რისკებს. 4. მიწოდების ვადა იყო 180 დღე და ვალუტის რყევა ასევე ქმნიდა დამატებით რისკებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ მიიჩნია, რომ კომერციული რისკების ზღვარი გადიოდა სწორედ შეთავაზებულ თანხაზე, რაშიც სააგენტო ვერ ხედავს არაბუნებრივი ბიზნეს-გადაწყვეტილების ნიშნებს.

ტენდერი SPA170010032, სადაც მონაწილეობდნენ შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ და სს ,,ფრანს ავტო“, გამოცხადებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 20 (ოცი) ერთეული მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის (ჯიპი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. ვაჭრობის მეორე დამატებითი რაუნდის ჩათვლით უპირატესობა ჰქონდა სს ,,ფრანს ავტოს“, თუმცა, საბოლოოდ მესამე დამატებით რაუნდში შპს ,,ჯი-თი მოტორსმა“ შეთავაზების ფასი შეამცირა დამატებით 22 179 ლარით, რის შემდეგაც სს ,,ფრანს ავტოს“ კლება არ განუხორციელებია. მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სს ,,ფრანს ავტოს“ მიერ შეთავაზებული ავტომობილის, Renault Duster-ის თვითღირებულება და საშუალო სარეალიზაციო ფასი ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში. როგორც აღმოჩნდა, უშუალოდ ავტომობილის საშუალო თვითღირებულება 2017 წლის ივლისიდან დეკემბრამდე (ამ პერიოდში სს ,,ფრანს ავტოს“ იმპორტირებული აქვს ამ მოდელის [redacted] ეგზემპლიარი) შეადგენდა [redacted] ლარს, საშუალო სარეალიზაციო ფასი იყო [redacted] ლარი კერძო რეალიზაციისას (სულ [redacted] ავტომობილი), ხოლო [redacted] ლარი (სულ [redacted] ავტომობილი) - სახელმწიფო შესყიდვებში რეალიზაციის შემთხვევაში, საშუალოდ [redacted] ლარი ერთ ავტომობილზე.

გარდა ავტომობილისა, სახელმწიფო ტენდერი გამოცხადებული იყო ასევე თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიურ ფასიან მომსახურებაზეც. Renault Duster-ის ფასიანი საგარანტიო მომსახურების ფასია [redacted] ლარი (ხოლო მოხმარებული საწვავის ღირებულება 100 000 კმ-ზე შეადგენს [redacted] ლარს). [23] ჯამში აღნიშნული ავტომობილის სრული ფლობის საშუალო თვითღირებულება შეადგენს [redacted]ლარს, ხოლო საშუალო სარეალიზაციო ფასი [redacted] ლარს. კონკურენტი კომპანიის, შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ მიერ შეთავაზებული ფასი - 934 500 ლარი კი ნიშნავდა ერთ ავტომობილზე 46 725 ლარს (უშუალოდ ავტომობილის ფასი [redacted] ლარი), რაც [redacted] მოგების მარჟას გულისხმობს, ხოლო სს

[23] მონაცემები დათვლილია SPA170008332 ტენდერის მაგალითზე, რომელიც ჩატარდა იმავე პერიოდში და გაიმარჯვა სს ,,ფრანს ავტომ“ იმავე მოდელის ავტომობილით.

„ფრანს ავტოს“ მიერ შეთავაზებული მინიმალური ფასი შეადგენდა 956 678 ლარს, რაც ერთ ავტომობილზე 47 834 ლარია, რომლისთვისაც მოგების მარჟა [redacted] როგორც აღმოჩნდა, კომპანიისთვის დამაკმაყოფილებელი იყო [redacted] მოგება, თუმცა თითქმის [redacted] მოგება - არა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სს ,,ფრანს ავტოს“ აღნიშნული ტენდერის ჩატარების შემდეგ 2017 წლის მეორე ნახევარში აღნიშნული ავტომობილის აღნიშნული მოდელის მხოლოდ ორი ეგზემპლიარი აქვს რეალიზებული [redacted] ლარად, რაც ამ პერიოდში აღნიშნული ავტომობილის სარეალიზაციო ფასის მინიმუმია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კომპანიის საფასო პოლიტიკა ამ ზღვარს არ სცდება, ხოლო ტენდერში გამარჯვებისთვის მას 20 ერთეული ავტომობილისთვის მოუწევდა მინიმალურზე უფრო ნაკლები სარეალიზაციო ფასის დაფიქსირება. მიუხედავად აღნიშნულისა, ფაქტია, რომ [redacted] ლარი წარმოადგენდა თვითღირებულებაზე მეტ ოდენობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოპასუხემ, სს ,,ფრანს ავტომ“ მიუთითა, რომ Renault Duster ქარხნულად არ გამოდიოდა წითელი ფერის საღებავით, შესაბამისად, მოპასუხე გეგმავდა თეთრი ფერის მანქანები გადაეღება წითლად და ავტომობილის ტექნიკურ დოკუმენტაციაში სწორედ წითლად გაეფორმებინა. აღნიშნული პროცედურისთვის მხარის მითითებით საჭირო იყო დამატებით 3000 ლარი ერთ ავტომობილზე, რაც მხოლოდ ავტომობილის თვითღირებულებას გაზრდიდა [redacted] ლარამდე (სააგენტოს მიერ გამოთვლილი საშუალო ღირებულებით), რაც აღემატებოდა შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ მიერ შეთავაზებულ ფასს, ხოლო სს ,,ფრანს ავტოს“ მითითებით, შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ მიერ შეთავაზებული ფასი Renault Duster-ის თვითღირებულების ზღვარზე იყო, რის გამოც უფრო ნაკლებ ფასს ვერ შესთავაზებდა შემსყიდველს.

ტენდერში SPA160025617 მონაწილეობდნენ შპს ,,ჯი-თი მოტორსი“, შპს ,,სტრადა მოტორსი“ და შპს ,,კავკასუს მოტორსი“. შპს ,,სტრადა მოტორსმა“ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების მოცულობის ბიუჯეტით და კლება არ განუხორციელებია არც ერთ ეტაპზე. მის შეთავაზებაში უშუალოდ ავტომობილის ღირებულება შეადგენდა 56 614 ლარს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ავტომობილის იმპორტი (2 ერთეული) კომპანიას განხორციელებული ჰქონდა 2016 წლის ოქტომბერში და მისი საშუალო თვითღირებულება შეადგენდა [redacted] ლარს. შპს ,,ჯი-თი მოტორსის“ საუკეთესო შეთავაზების - 65125 ლარისთვის კონკურენციის გაწევისთვის კომპანიას უნდა გაეკეთებინა მინიმუმ 65 124 ლარიანი შეთავაზება, რაც ნიშნავს, რომ აქედან უშუალოდ ავტომობილის ღირებულება იქნებოდა [redacted] ლარი, რაც [redacted] ლარით [redacted] აღემატება თვითღირებულებას. თუმცა აქვე აღსანიშნავია ის, რომ ვაჭრობის მე-3 რაუნდში პირველი შეთავაზება უნდა განეხორციელებინა სწორედ შპს „სტრადა მოტორსს“, ხოლო ვინაიდან შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ შეთავაზებას ბოლოს განახორციელებდა, ყველაზე უარეს შემთხვევაში მას შეეძლებოდა დაეფიქსირებინა 2 ლარით ნაკლები შეთავაზება და მაინც მოეგო ტენდერი. შესაბამისად შპს ,,სტრადა მოტორსის“ მარცხი აღნიშნულ ტენდერში იმთავითვე გარანტირებული იყო იმდენად, რამდენადაც მას თავიდანვე დაკარგული ჰქონდა ბოლო შეთავაზების უფლებით განპირობებული უპირატესობა. აღსანიშნავია ისიც, რომ შპს ,,სტრადა მოტორსს“ იგივე ფასი აქვს დაფიქსირებული იმავე პერიოდში გამოცხადებულ სხვა ტენდერშიც, სადაც ასევე დამარცხდა (NAT160002497). შესაბამისად, SPA160025617 ტენდერთან მიმართებით სააგენტოს

არ აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ ადგილი ჰქონდა შეთანხმებას, იმის გათვალისწინებითაც, რომ ვაჭრობა თვითღირებულებასთან საკმაო ახლო საფასო კატეგორიაში მიმდინარეობდა.

შუალედური დასკვნა:

მომჩივანის მიერ მითითებულ სახელმწიფო ტენდერებში არ იკვეთება მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან შეთანხმებული, მოჩვენებითი, ფიქტიური კონკურენციის, ან ტენდერების ფარგლებში შეთანხმებული ფასწარმოქმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

თავი 5. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არ დადასტურდეს შპს „სტრადა მოტორსის“ (ს/ნ 401960286), შპს „იბერია ავტოს“ (ს/ნ 236098129), სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ (ს/ნ 204478948), შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ (ს/ნ 236096675), შპს „ჯი-თი მოტორსის“ (ს/ნ 206276340) და სს „ფრანს ავტოს“ (ს/ნ 236098165) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის ფაქტი.
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

კონკურენციის სააგენტოს მიერ წარმოებული მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, ავტომანქანების შეძენის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში ხდება მონაწილეთა წრის შეზღუდვა ისეთი ტექნიკური მოთხოვნებით, როგორიცაა ავტომობილის სიგრძე, სიგანე, სიმაღლე, მიწოდების მცირე ვადა (3-5 სამუშაო დღე), აუდიო სისტემა, ფერი ან სხვა. გარკვეულ ტენდერებში ამ ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება 100 მილიმეტრზე ნაკლები სხვაობის (ზოგ შემთხვევაში 20 მმ (2 სმ) გამო. ჩატარებული მოკვლევისას, სააგენტოს არ განუხორციელებია ასეთ ტენდერებთან მიმართებით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან მოთხოვნილი პირობების ადეკვატურობის ან აუცილებლობის ანალიზი, ვინაიდან იგი სცდებოდა მოკვლევის ფარგლებს, თუმცა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით ანალიზს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილების კუთხით, საქართველოს მთავრობასთან კოორდინირებული მოქმედების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ გადაწყვიტა, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიეცეს განსახილველად სავალდებულო შემდეგი რეკომენდაციები:

1. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილოს შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების მიზნით დამატებითი ღონისძიებების განხორციელების საკითხი. აღნიშნული ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს კონკრეტულად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან სატენდერო პირობების შემუშავებისა და ბაზრის კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიის დანერგვის/სრულყოფის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას.

2. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილოს ისეთი საკანონმდებლო წინადადების მომზადების მიზანშეწონილობის საკითხი, რომლის ნორმატიული შინაარსი უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციის დავალდებულებას, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო პირობებთან ერთად ატვირთოს ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.